# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 6 ოქტომბერი 2005 №229 (2552) ფასი 50 თეთრი




**საით, ლევან?**

მელქაძე საქართველოში აღარ ჩერდება

3



**იონანიძე ზესტაფონიდან მიდის?**

ჭორი თუ მართალი

3



**მაღალი, ლამაზი, მომხიბვლავი, მულტიმილიონერი თინეიჯერი**

15

# გამოაღე კარი, ჩქარა...

## დღეს გაიოზ დარსაძე ნაკრებს დაგვანახებს



ფოტო ზურაბ ქურციკიძისა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინდორი მსოფლიოს ზემოთ

ახლახან ბუდაპეშტში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე რევაზ მინდორაშვილმა თავისუფალ ჭიდაობაში კარიერის უდიდეს წარმატებას მიაღწია — ოქროს მედალი მოიპოვა და მსოფლიოს ზემოდან გადმოხედა, გუშინ კი უნგრეთიდან დაბრუნებული რედაქციაში გვეწვია. გვითხრა, უცნობი ხალხისგან საოცარ სიყვარულს ვგრძნობ, სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, ეს რამხელა ბედნიერებააო.

*მესამეტე გვერდი*





# გამოაღე კარი, ჩქარა...
## დარსაძე დღეს გამოჩნდება

**საქართველოს** ნაკრების ჩაკეტილ კარს მწვრთნელი გაიოზ დარსაძე დღეს გაალებს და ყაზახეთთან საშაბათო მატჩამდე ეროვნულ გუნდზე მეტ ინფორმაციასაც მოგაწვდით. მოგეხსენებათ, ნაკრების თავკაცმა თქვა, გუნდის შეკრების დღიდან ხუთშაბათამდე ბაზაზე უცხო, კაციშვილი არ ვნახოო. დაცვამ თავისი საქმე ხუთიანზე შეასრულა და საპრეტენზიო არც გვაქვს.

სანაკრებო შეკრებიდან კი საამდროოდ ახალი და მნიშვნელოვანი არაფერია, ფედერაციის პრესსამსახურის უფროსის სანდრო ცნობილაძის თქმით, გუნდმა გუშინ ნაშუადღევს „ოლიმპის" სტადიონზე ივარჯიშა, საღამო კი ყაზახეთთან მატჩამდე თეორიულ მეცადინეობას დაეთმო.

21 ფეხბურთელს დღეს უკვე გაიოზ დარსაძე ნაკრებს ქომაგების წინ ავარჯიშებს და ჩვენც, როგორც გითხარით, მეტ ამბავს მოგაწვდით.

ისე კი შეგახსენებთ, ტრავმირებულების, გოგა გახოკიძისა და ლევან ცქიტიშვილის, ასევე დარსაძის გუნდში თამაშზე უარის მთქმელ შოთა არველაძის ნაცვლად მწვრთნელმა ეროვნულ გუნდში „ზესტაფონის" ფეხბურთელებს — მცველ შალვა ღონღაძეს, ნახევარმცველს კახა ჩხეტიანსა და თავდამსხმელ ბექა გოცირიძეს უხმო.

**ჟოგა ინასარიძე**

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი
### ჩვენი მეტოქე

# ანგელოს ხარისტიასს საქართველომდეც გასინჯავენ



**საბერძნეთის** ნაკრებისა და ამსტერდამის „აიაქსის" თავდამსხმელმა ანგელოს ხარისტიასმა ეგებ საქართველოს ნაკრებთან 12 ოქტომბრის მატჩში ვერ ითამაშოს. იგი ლონდონის „არსენალთან" საჩემპიონთალიგო შეხვედრაში დაშავდა — ექიმებმა ტვინის შერყევა დაუდგინეს.

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, ხარისტიასის დანიასთან (8 ოქტომბერს) თამაში ასი პროცენტით გამორიცხულია, ხოლო საქართველოსთან მატჩის წინ მას ექიმები ერთხელაც გასინჯავენ და საბოლოო პასუხს მერე ეტყვიან.

**ქახა შალამბერიძე**

### იტალია

**სერია B. VIII ტური**

ტრიესტინა 2:0 ტერნანა
მოდენა 1:0 კროტონი
ჩეზენა 1:0 კატანია
პესკარა 3:1 ვიჩენცა
კატანძარო 1:2 აველინო
ბრეშა 0:2 რიმინი
პიაჩენცა 3:0 ატალანტა
ბარი 1:1 მანტოვა
არეცო 1:2 ტორინო

**სერია C1/B. VII ტური**

პერუჯა 0:0 სესარი ტორესი

### ინგლისი

**კონფერენსლიგა. გადადებული მატჩი**

სტივენეიჯი 2:1 დაგენემი

geo_geo_fan@hotmail.com

## ქომაგის უპასუხო კითხვა:
# რისთვის მოხვედით?

*ჩვენს გუშინდელ თხოვნა-სურვილს, სანაკრებო თემაზე წერილები მოგვწერეთო, ოპერატიულად სამი მკითხველი გამოეხმაურა და იმედი გვაქვს, ამ დღეებში წერილების რაოდენობა მოიმატებს.*

*დღევანდელი ფოსტის წაკითხვა კი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისთვის და ნაკრების მთავარი მწვრთნელისთვის სასიამოვნო არ უნდა იყოს. ვაღიაროთ, რომ ქვემოთ დაბეჭდილი წერილების ამგვარი შინაარსი გასაკვირი სულაც არ არის: გულშემატკივარს რა ხანია, სჯერა, რომ ნაკრებს მაღალი კლასის უცხოელი მწვრთნელი სჭირდება და... თანაც, ეს საშინელი 1:6 დანიასთან..*

*მოკლედ, მივყვეთ...*

**TORNIKE560**: *გამარჯობათ. მინდა, ორიოდ სიტყვა ვთქვა საქართველოს ნაკრებზე და ფედერაციაზე. ამ ნაკრებს არაფერი არ ეშველება ბატონი გაიოზის ხელში. თავადაც ხედავთ, რა ფეხბურთს ათამაშებს და ვის იწვევს. მაგალითად, გოგუა ან კანკავა — არც ერთს და არც მეორეს აღარ ახსოვთ, ბოლოს როდის ითამაშეს ოფიციალური მატჩი. ხოლო დარსაძე მაინც იწვევს, თითქოს მაგათი დონის ფეხბურთელები არ გვყავდეს. არველაძე, როცა ფორმაშია, მაშინ არ იძახებდა და პრესის ზეწოლით გამოიძახა. ყოჩაღ, შოთის, რომ არ ჩამოვიდა. მთლიანად ვიზიარებ მის აზრს. ასევე ვეთანხმები „იაშკას" გადაწყვეტილებასაც. და საერთოდ, დარსაძე რა მწვრთნელია ყველა კარგად ხედავს. უბრალოდ მიმაჩნია, რომ მას ამბიცია ჰქონდა ყოველთვის ნაკრების მწვრთნელი ყოფილიყო და აისრულა კიდეც. ეხლა კი უკვე აღარაფერი არ ადარდებს, მთავარია, სკამი ჩაიგდო ხელში (ქართული მენტალიტეტი). მასეთი მწვრთნელის ყოლას სჯობია, საერთოდ არ გვყავდეს ნაკრების თავკაცი და, მგონი, ფეხბურთელები უკეთეს შედეგს აჩვენებენ, ვიდრე ამას გაიოზის ხელში აკეთებენ.*

*რაც შეეხება ნოდარ ახალკაცს, მაგის შემყურე ჟორდანია მომენატრა. საერთოდ უეცი ყოფილა ფეხბურთში და მხოლოდ იმიტომ ზის პრეზიდენტად რომ უცხოეთში ისნავლა (დღევანდელი საქართველოსთვის მთავარი პრიორიტეტი). მარტო სწავლა არაფერს არ ნიშნავს. ელემენტარულად ცოტათი მაინც უნდა ერკვეოდე ფეხბურთში. რომ გაჰკივის ვალებში ვართო, კვალიფიციურ მწვრთნელს ვერ ჩამოვიყვანთო, რისი პრეზიდენტია, თუ მაგის თავი არა აქვს, რომ ფული იშოვოს?! უბრალოდ, ჟორდანიაზე მეტად გათხვრილია კორუფციაში და იმიტომ. სანამ ახალკაცი და გაიოზი იქნებიან, ჩვენ ფეხბურთს საშველი არ დაადგება (ღმერთმა ქნას, ვცდებოდე). ეგენი ისედაც სულისმღაფავ ფეხბურთს საბოლოოდ მოკლავენ.*

*P.S. მაინტერესებს, უკრაინის ჩემპიონატს რატომ აღარ აშუქებთ. ადრე ანგარიშებს მაინც წერდით, ახლა კი ისიც გააქრეთ. მგონი, ჩვენთვის, გულშემატკივრებისთვის ბევრად საინტერესოა უკრაინის ჩემპიონატი (თუნდაც იმიტომ, რომ ძაან ბევრი ქართველი თამაშობს იქ), ვიდრე, ვთქვათ, შვედეთის მეორე ლიგის ანგარიშები და მისი ცხრილი.*

ასეთ წერილს გვიგზავნის თორნიკე. თავდაპირველად პოსტსკრიპტუმს ვუპასუხებთ, რაც უფრო იოლ საქმედ მიგვაჩნია: უკრაინის ჩემპიონატი, ცხადია, შვედეთის მეორე ლიგაზე საინტერესოა და თხოვნასაც აუცილებლად გავითვალისწინებთ.

წერილის ძირითად ნაწილზე კი მოგახსენებთ, რომ:

1. ნოდარ ახალკაცის კორუმპირებულობის თაობაზე ჩვენთვის არაფერია ცნობილი;
2. გაიოზ დარსაძე ნამდვილად ამბიციური პიროვნებაა, ოღონდ, ამბიცია თავისთავად ცუდი არ არის, თუ მას ცოდნა, გამოცდილება და ავტორიტეტი უმაგრებს ზურგს;
3. ვის გამოიძახებს ნაკრებში მთავარი მწვრთნელი და ვის არა, მხოლოდ მისი გადასაწყვეტია, ოღონდ, კარგი იქნება, თუ მწვრთნელი თავის გადაწყვეტილებებს გულშემატკივრებსაც განუმარტავს, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობასაც საკუთარ თავზე აიღებს;
4. პრეზიდენტმა მართლაც უნდა იზრუნოს სპონსორების მოძიებაზე.

ახლა შემდეგი წერილი.

**KOKO78**: *აბა, ერთი ვნახოთ ეს ყაზახეთი. საინტერესოა, ვის მოუგეს ალმათიში ჩვენებმა, ამდენს რომ ბაქიბუქობენ. ისე, ამ ყაზახებს ალბათ კი მოუგებენ, მთავარია, საბერძნეთიდან წამოვიღოთ 0:7.*

პროფესორობა არ უნდა იმის დანახვას, რომ კოკოს წერილი აშკარად ირონიულია. უბედურება კი ის არის, რომ ამ ირონიას საფუძველი გააჩნია. თუმცა მაინც: საბერძნეთიდან შვიდგოლგაშვებულები, ალბათ, არ დავბრუნდებით.

**FCXOBI**: *სარბიელელებო, პრივეტ! ძალიან ველოდი ამ რუბრიკას. პირში მთქმელი კაცი ვარ, სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ ვიცი, იქამდე (ფედერაციის ჩინოსნებამდე) არავინ მიმიშვებს, ამიტომაც თქვენი გაზეთის საშუალებით ვიტყვი სათქმელს.*

*აგერ თქვენ და აგერ მე, რატომღაც მგონია, რომ საქართველო — ყაზახეთი 1:1 მორჩება. დარსაძეს თუ ჰგონია, დანიასთან 1:6-ს შაბათს ჩამოირეცხავს, ძალიან ცდება, სწორედ ამიტომ ვერ მოიგებს. ეგ კაცი მოსაშორებელია ნაკრებიდან. დავითვალოთ რამდენი ფეხბურთელია „ზესტაფონიდან"? ხიდეშელი, ჩხეტიანი, ღონღაძე, განუგრავა, გოცირიძე... რა არის ეს?! „ზესტაფონი" რა, ცეხია?!*

*ანაც კიდევ, ფედერაციის პრეზიდენტი რომ გვარწმუნებს, უცხოელ მწვრთნელს ვერ ჩამოვიყვან, პრობლემები ისედაც ბევრი გვაქვსო. დალოცვილო, რომ მოდიოდი პრეზიდენტად, არ იცოდი, რისთვის, სად მოდიოდი?!*

*მოკლედ, რა ვთქვა, აღარ ვიცი. ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები, საქმეს აი, ასე და ასე გავაკეთებთო, არ ვარგა. სიტყვას საქმე უნდა მოაყოლო ძმაო და არა ეს დაუსრულებელი დემაგოგობა.*

პრივეტ! სიმართლე გითხრათ, გაგვიჭირდა იმ არგუმენტის გაგება თუ რატომ ვერ მოუგებს საქართველოს ნაკრები ყაზახეთს. მაგრამ ეს არც ისე მნიშვნელოვანია. „ზესტაფონის" ცეხობაზე კი მოგახსენებთ, რომ ჩვენი აზრით, მთავარი ის კი არ არის, რამდენი ფეხბურთელია გამოძახებული ამა თუ იმ კლუბიდან, არამედ, როგორი კლასის ფეხბურთელები არიან ისინი. თუმცა ვეჭვობთ, წერილის ავტორს არა მხოლოდ ზესტაფონელთა რაოდენობასთან, სწორედაც რომ მათ კვალიფიკაციასთანაც აქვს პრეტენზია.

ბოლოს კი იმით დავამთავროთ, რითაც დავიწყეთ: იმედი გვაქვს, ხვალინდელ ფოსტაში მეტი წერილი გვექნება, ხოლო რუბრიკა უფრო საინტერესო საკითხავი რომ იყოს, ნოდარ ახალკაცის და გაიოზ დარსაძის პოლიტიკის მხარდამჭერებსაც აქტიურობისკენ მოვუწოდებთ.

**WEB-ოსტატი ბუარა**

geo_geo_fan@hotmail.com

# საით, ლევან?

## საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო საქართველოში აღარ ჩერდება

*თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელს ლევან მელქაძეს შარშან მართლაც გამორჩეული სეზონი ჰქონდა. ბომბარდირი, საუკეთესო თავდამსხმელი და „სარბიელის“ ტრადიციული, საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი — აი, ლევანის პირადი მონაგარი და ნუ დავივიწყებთ, რომ მისი გუნდი ჩემპიონიც გახდა.*

*...ახალი სეზონისთვის მოსამზადებელი პერიოდი დაიწყო და ლევან მელქაძე მაშინაც საუკეთესო იყო. „დინამოს“ მწვრთნელები თუ ფეხბურთელები ამბობდნენ, ასეთ ფორმაში მყოფი მელქაძე არ გვახსოვს, დაფრინავსო. მერე ლევანმა ერთი გოლი ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში ესტონურ „ლევადიას“ გაუტანა, რამდენჯერმე დანიური „ბრონდბიუს“ მცველები გაანერვიულა და მორჩა... საქართველოს ჩემპიონატში რვა ტური მიილია და შარშანდელ ბომბარდირს გოლიც არ გაუტანია, ეგ რა სათქმელია და, ლევანმა უკვე „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში ადგილიც დაკარგა. გოლების გემო კი ლევან მელქაძემ გუშინწინ „დინამო 2“-ში გაიხსენა — პირველ ლიგაში „თბილისი 2“-ს ორი გოლი გაუტანა...*



— ავადმყოფობის გამო „დინამოსთან“ ერთად ვერ ვივარჯიშე, „სპარტაკთან“ მატჩიც გამოვტოვე და ფორმის აღსადგენად ორშაბათს პირველ ლიგაში ვითამაშე. დღესდღეობით კი „დინამოს“ ძირითად გუნდთან ერთად უკვე მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ.

**— ძირითადი გუნდიო, თქვი, მაგრამ, ისეა საქმე, ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგე...**

— სიცხე მქონდა და თამაში არ შემეძლო, თუმცა იქამდეც არ მითამაშია. ჩემპიონატი რომ დაიწყო, თითქოს კარგ ფორმაში ვიყავი, მაგრამ რამდენიმე მატჩში გოლი ვერ გავიტანე და მწვრთნელმაც სკამისკენ მიმითითა.

**— ისე, გასაკვირია, წინა ჩემპიონატის ბომბარდირმა, საუკეთესო თავდამსხმელმა და ფეხბურთელმა წლეულს ერთი გოლის გატანა მაინც როგორ ვერ მოახერხე?**

— უიღბლობა იყო და, ალბათ, ეს ჩემი ბრალიც არის. ისე ვეღარ ვთამაშობ, როგორც შემიძლია.

**— რატომ?**

— ვფიქრობ, საქართველოდან ჩემი წასვლის დროც მოვიდა.

**— ასე რატომ ფიქრობ?**

— საქართველოს ჩემპიონატში, რაც შემეძლო, გავაკეთე, ახლა კი, ისე გამოდის, ერთ ადგილზე უნდა გავჩერდე. არადა, წინსვლა მსურს.

**— ანუ?**

— დეკემბერს ველი, თვალი წასვლაზე მაქვს და იმედია, უკეთეს ჩემპიონატში ვითამაშებ.

**— გამოდის, საქართველოს ჩემპიონატი აღარ გაკმაყოფილებს...**

— ასეა. საქართველოში, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე.

**— და ამიტომაც ხარ მოდუნებული?**

— ალბათ ფსიქოლოგიური მომენტია, უკეთესს ჩემპიონატში მსურს თამაში.

**— იტალიაში, „სიენაში“ არ თამაშობდი?**

— „სიენაში“ ვიყავი და ძალიანაც შევეცდი, იქიდან რომ წამოვედი.

**— რაკი საქართველოდან წასვლა გსურს, ესეც გვითხარი, აზერბაიჯანისკენ აპირებ? ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე ითქვა, მელქაძეს სამეზობლოში ეპატიჟებიანო...**

— ასე იყო, მაგრამ აზერბაიჯანში წასვლა აზრადაც არ მქონია. აზერბაიჯანში თამაშს ჩემს ბოლო ვარიანტად ვფიქრობ.

**— შენი ჩავარდნის მიზეზს ბოლომდე მაინც არ ამბობ. შარშანდელი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი ახლა სათადარიგო რატომ არის?**

— იმიტომ, რომ ევროტურნირის შემდეგ ძალიან გამიჭირდა საქართველოს ჩემპიონატში. ჩემი ბრალია, საუკეთესო ფორმაში ვეღარ ვარ, ეტყობა, თავს მეტის უფლება მივეცი, მაგრამ „დინამოში“ ჩემს ადგილს ისევ დავიმკვიდრებ. ლევან მელქაძეს საამისო ძალა აქვს და კონკურენციას გაუძლებს.

**— არადა, შენი კონკურენტები საკმაოდ ძლიერი ფორვარდები არიან...**

— ეს ძალიან კარგია. მოდუნება არ მაპატიეს, ახლა კი ჩემს საქმეს ძველებურად გავაკეთებ.

**— ჩავთვალოთ, რომ სანაკრებო პაუზის შემდეგ „დინამოს“ ძირითადში ისევ იქნები?**

— ყოველ შემთხვევაში, საამისოდ ცდას არ დავაკლებ და მერე მწვრთნელმა გადაწყვიტოს. უკვე საკმარისია, სათადარიგო ისედაც დიდხანს ვიყავი.

**— როგორ ფიქრობ, „დინამოს“ ჩავარდნა რისი ბრალია?**

— ყველა გუნდს აქვს დაღმასვლის პერიოდი. დარწმუნებული ვარ, „დინამო“ სათქმელს კიდევ იტყვის და ჩემპიონობასა და თასს არავის დაუთმობს. ის მეექვსე ადგილი, რომელზეც დღესდღეობით „დინამოა“, ჩვენთვის შეუფერებელია და თამაშსაც და სატურნირო ვითარებასაც მალე გამოვასწორებთ.

**— შენ კი დეკემბრიდან „დინამოში“ აღარ იქნები...**

— მსურს, რომ უკეთეს ჩემპიონატში ვითამაშო და დეკემბრიდან კარიერას სხვაგან თუ გავაგრძელებ, „დინამოსთვისაც“ მომგებიანი იქნება, ვინაიდან, ზაფხულში კლუბთან კონტრაქტი მიმთავრდება.

**— დეკემბრამდე კი საქართველოს ჩემპიონატში გაქვს სათამაშო...**

— დეკემბრამდე ჩემს შესაძლებლობებს კიდევ დავამტკიცებ.

**ბონა ინასარიძე**

*რატომ აღარ ათამაშებენ საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელს, ზურაბ იონანიძეს „ზესტაფონში“? კითხვა, რომელზეც პასუხი ვერავისგან მივიღეთ, დღეს მართლაც აქტუალურია, მით უმეტეს, იმერული კლუბის ცუდი შედეგების ფონზე. ახლახან კი ისიც გავიგეთ, დიდი შანსია, „იონამ“ „ზესტაფონი“ დატოვოსო. მოკლედ, ჭორ-მართლის გარჩევას თავად ზურასთან გასაუბრება ვარჩიეთ...*



# ზურაბ იონანიძე ზესტაფონიდან მიდის?

— ასე თუ გაგრძელდა, ალბათ, მართლა წავალ გუნდიდან. არ ვიცი რატომ აღარ მენდობიან, მაგრამ ფაქტია, მოედანზე გასვლა ათი-თხუთმეტი წუთით თუ მიწევს. ბუნებრივია, კმაყოფილი ვერანაირად ვერ ვიქნები.

**— მიზეზებზე არავის არაფერი უთქვამს?**

— გაზეთებიდან ვიცი, რომ „ზესტაფონი“ ახალგაზრდებზე აკეთებს აქცენტს და ჩემი უთამაშებლობის მიზეზი ალბათ ესაა, მაგრამ... 30 წლის ვარ და სკამზე ჯდომას ვერ შევეგუები. თუ აქ შანსი აღარ მექნება, მირჩევნია, რომელიმე სხვა გუნდში გადავიდე.

**— მოკლედ, ჭორი არცთუ უსაფუძვლო ყოფილა...**

— არ ვიცი, საიდან გავრცელდა ეს ხმები, მაგრამ... თამაში როცა აღარ შემეძლება, თავადაც მივხვდები და საერთოდ წავალ ფეხბურთიდან. ერთი-ორი წელი კიდევ ვაპირებ ფეხბურთში დარჩენას და მჯერა, როცა გრძნობ, რომ რაღაცის გაკეთება შეგიძლია, მაგრამ ვერ აკეთებ, რადგან თამაში არ გიწევს. იმედია, რამე შეიცვლება...

**ბაზა შალამბერიძე**

# სეზონი დამთავრდა

## ნერგაძე ახალ ჩემპიონატს ელის

**თბილისის „დინამოს“** ნახევარმცველი გიორგი ნერგაძე ამ სეზონში ვეღარ ითამაშებს. ასეთია იმ გერმანელი ექიმების ვარაუდი, რომლებმაც ნერგაძეს ოპერაცია გაუკეთეს.

შეგახსენებთ, რომ გიორგი სეზონის წინ ქუთაისის „ტორპედოდან“ გადავიდა „დინამოში“, თუმც შეკრებაზე მძიმედ დაშავდა და მას შემდეგ აღარ უთამაშია...

— სარეაბილიტაციო პროცესი ნორმალურად მიდის, მაგრამ ჩემ თამაშზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. სრულად გამოსაჯანმრთელებლად ხუთი-ექვსი თვე კიდევ მჭირდება, მერე აღდგენითი ვარჯიშები, ფორმაში შესვლა და, გამოდის, ეს სეზონი ჩემთვის დამთავრებულია — გვითხრა გუშინ გიორგიმ.



**ბაზა შალამბერიძე**

# დილამ, სულაც არ გვიჭირსო

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის მერვე ტურში გორის „დილამ“ 5:0 გაასამტვერა სოხუმის „დინამო“. სწორედ იმ მატჩის შემდეგ ითქვა, „დილაში“ ყველაფერი რიგზე ვერ არის და მწვრთნელ-ფეხბურთელები პირობების გაუმჯობესების მოლოდინში არიანო, თუმცა კლუბის მმართველმა არჩილ ბეგიაშვილმა სხვა რამ გვითხრა: „ვერ ვიტყვი, რომ მწვრთნელ-ფეხბურთელები გაუსაძლის პირობებში არიან. ვფიქრობ, გუნდში ყველაფერი კარგადაა, ხელფასებიც დარიგებულია. ბოლო ტურში მოგების პრემიები გვაქვს დასარიგებელი და ამასაც დღე-დღეზე დავარიგებთ. ასე რომ, ეგ ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება“.

**ბაზა შალამბერიძე**

# კოკა მიქუჩაძე გამაყუჩებელი გოლებით

## გაყიდვებმა დაიწია, დონემ აიწია

*ბოლნისის „სიონის" 24 წლის ფორვარდი კოკა მიქუჩაძე ზედიზედ ოთხჯერ მოხვდა „სარბიელის" სიმბოლურ ნაკრებში.*

*ტანხმელი, რბილი მანერის, ტექნიკური მიქუჩაძე ჯაბა დვალთან ერთად ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმის ტანდემს ქმნის, მაგრამ კოკაზე ყოველთვის ამბობდნენ, ამ ბიჭმა თავისი ნიჭის შესაფერისი ფეხბურთი ჯერ ვერ ითამაშაო — თავად კოკაც ასე ფიქრობს.*

*„ჩემპიონატის დაწყებამდე ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ლიდერები ვიქნებოდით, მაგრამ ჩვენი ძალა უკვე ვირწმუნეთ და ახლა „სიონის" შეჩერება ძნელი იქნება" — გვითხრა ბოლნისელთა მე-10 ნომერმა...*

— „სიონი" ერთი ოჯახია, ყველა ფეხბურთელი ერთმანეთის მეგობარია, მინდორზეც და მის გარეთაც ერთნი ვართ. არადა, სეზონის წინ რომ შევიკრიბეთ, ორი-სამი ფეხბურთელის გამოკლებით, ერთმანეთს საერთოდ არ ვიცნობდით...

**— უშუალოდ მინდორზე რა არის „სიონის" კოზირი, რით სჯობიხართ სხვა გუნდებს?**

— ჟინი და თავდადება თავისთავად და, ვფიქრობ, „სიონი" საქართველოში ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. გუნდში ტექნიკური ბიჭები გვყავს, იმპროვიზაციის უნარი მეტ-ნაკლებად ყველას აქვს. რა თქმა უნდა, ეს ხვიჩა ქასრაშვილის დიდი დამსახურებაცაა. ერთი სიტყვით, თამაში გვსიამოვნებს.

**— წინა ტურში „ზესტაფონს" მოუგეთ. ამ სეზონში „სიონის" კონკურენტები ვინ იქნებიან?**

— პირველ რიგში „დინამო", „ბორჯომი" და „ლოკომოტივი". „ვიტ ჯორჯიამაც" აკრიფა ტემპი და ალბათ „ზესტაფონიც" ძლიერი გუნდი იქნება. მართალია, ზესტაფონელებს მოვუგეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გზიდან უკვე ჩამოვიცილეთ. მომდევნო ტურში მაგარი თამაში გველის „დინამოსთან", ფორმაში კი ვართ და ვნახოთ...

**— „სიონის" ბევრ ფეხბურთელს ზამთრამდე აქვს კლუბთან კონტრაქტი. შენც ასე ხარ?**

— კი და ჯერჯერობით ნაღდად არ ვიცი, ზამთარში რას ვიზამ. „სიონში" თავს ბედნიერად ვგრძნობ, ისე კი, მენეჯერი მყავს და მის სიტყვასაც მოვუსმენ.

**— ბოლო ტურებში გოლები ხშირად გაგაქვს და თვლი, რომ საუკეთესო ფორმაში ხარ?**

— არა, საუკეთესო ფორმაში როგორ ვიქნები, როცა შეკრება არ გამივლია. თანაც, ბოლო სამი-ოთხი მატჩია, კუნთი მქონდა დაჭიმული და გამაყუჩებლებით ვთამაშობდი. გუნდის ექიმმა მითხრა, შენი გადასაწყვეტია, გახვალ მინდორზე თუ არაო. ისე კი, ნელ-ნელა შევდივარ ჩვეულ ფორმაში — აი, ისეთში, წელიწადნახევრის წინ „თბილისში" ყოფნისას რომ ვიყავი.

**— „სიონი" კარგადაა შეთამაშებული, მაგრამ ლიდერი ყველა გუნდს სჭირდება. თქვენთან ვინ არის ასეთი?**

— მიჭირს ამის თქმა, რადგან გუნდურობით უფრო გამოვირჩევით. ისე, დავით ბოლქვაძე ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს ჩემპიონატში და ასე თუ გააგრძელა, ალბათ ეროვნულ ნაკრებამდეც მიაღწევს.

**— ჩემპიონატში მოთამაშე თავდამსხმელებიდან ვის გამოარჩევ?**

— რამდენიმეა ასეთი: „დინამოს" ლევან მელქაძე და სანდრო იაშვილი ჰყავს, „ამერს" სულიკო დავითაშვილი, „სიონს" ჯაბა დვალი. გიორგი კახელიშვილის თამაში მხოლოდ ერთხელ ვნახე და ისიც პერსპექტიული ბიჭი ჩანს.

**— ოთხი გოლი მოგიგროვდა და ალბათ ბომბარდირობაზეც ფიქრობ...**

— რა თქმა უნდა. ისე, ოთხი გოლი ძალიან მეცოტავება. თამაშებიდან გამომდინარე, უფრო მეტი უნდა გამეტანა. უბრალოდ, მომენტები მაქსიმალურად ვერ გამოვიყენე და იმედია, ამას გამოვასწორებ.

**— დაბოლოს, ეროვნული ჩემპიონატის საერთო დონეზე რას იტყვი. ეს სეზონი წინა წლებისას სჯობს თუ ჩამოუვარდება?**

— ჩემი აზრით, დონემ აიწია და ეს რის ხარჯზე ხდება, ვერ ვხვდები. ახლა უფრო იგრძნობა დაძაბულობა, რაც ანგარიშებშიც აისახება. მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ თამაშების გაყიდვა და მსგავსი სისულელეები აღარ შეიმჩნევა. ყოველ შემთხვევაში, განვლილ რვა ტურში ასეთი არაფერი ყოფილა და, ღმერთმა ქნას, ასეც გაგრძელდეს.

**ილია ნანობაშვილი**





„დინამოსთან" მოგება ვიტელებმა ასე იზეიმეს

# ვიტ ჯორჯიამ ცუდ სტარტს ზედიზედ ხუთჯერ ესროლა

*ეროვნულ ჩემპიონატში ახლა მცირე შესვენებაა. ბოლო, მე-8 ტურის საუკეთესო მწვრთნელად კი, გეხსომებათ, თბილისური „ვიტ ჯორჯიას" თავკაცი ნესტორ მუმლაძე დავასახელეთ — მისმა „ვიტ ჯორჯიამ" გლდანში პრინციპულ და ძნელ მატჩში „ამერს" 2:1 მოუგო.*

*„ვიტ ჯორჯიამ" ზედიზედ ხუთი თამაში მოიგო, არადა, სტარტი ძალიან ცუდი ჰქონდა. ნესტორ მუმლაძესთან საუბარიც აქედან დავიწყეთ...*

— სტარტი აშკარად ჩავაგდეთ, ჩვენ ხომ მოსამზადებელი ციკლი სრულფასოვნად არც გაგვივლია, შეუსვენებლად ვითამაშეთ ინტერტოტოზე, შედეგად კი, ის მივიღეთ, რომ თამაშიდან თამაშამდე შევდიოდით ფორმაში.

**— ანუ, შეგიძლიათ თქვათ, რომ „ვიტ ჯორჯიამ" თავისი თამაში უკვე იპოვა?**

— ამას ჯერ ვერ ვიტყვი. რაღაც დონეზე ვართ, ნორმალურადაც ავთამაშდით, თუმცა სრულყოფილებამდე შორია.

**— რას გულისხმობთ?**

— მინდა, სხარტი, შემტევი, ლამაზი ფეხბურთი ვითამაშოთ. „ვიტ ჯორჯია" ყველასთვის ანგარიშგასაწევი მეტოქე უნდა იყოს არა მარტო აქ, არამედ ევროპაშიც. ადვილად აღარ არ ვაგებდეთ უსახელო გუნდებთან.

**— ბოლოს ზედიზედ ორი პრინციპული თამაში მოიგეთ — „დინამოსთან" და „ამერთან". „დინამოთი" დავიწყოთ: სეზონის დაწყებამდე იქიდან გათავისუფლებულმა ნესტორ მუმლაძემ ყოფილ კლუბზე ერთგვარად რევანში ხომ არ აიღო?**

— არა, რას ამბობთ... „დინამოზე" ნაწყენი არ ვარ, პირიქით, გუნდში ათი წელიწადი ვიყავი და მადლობის მეტი ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. ეს ფეხბურთია, რომელ გუნდშიც ხარ, მისი წარმატებისთვის არაფერი უნდა დაიშურო. ეს არის და ეს. „ვიტ ჯორჯია" ყველა გუნდთან მოსაგებად გადის, ჩვენც გავედით და მოვიგეთ.

**— კეთილი. „ამერთან" თამაშზე რაღას იტყვით?**

— ვიცოდით, რომ ძალიან რთული თამაში გვექნებოდა, „ამერი" კარგი, მზარდი გუნდია და ამიტომაც ძალიან სერიოზულად მოვემზადეთ. ვფიქრობ, „ამერთან" მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ და ძალიან საჭირო სამი ქულა ავიღეთ.

**— წინა თამაშებში ყველაზე უფრო მეტად ვისთან გაგიადვილდათ და პირიქით, ვისთან გაგიჭირდათ?**

— იოლი თამაშები ნამდვილად არ გვქონია, გითხარით კიდეც, ჩემპიონატის სტარტი ძალიან ცუდი გვქონდა, ამიტომაც ყველა მეტოქესთან საკმაოდ რთული მატჩები ჩავატარეთ. ყველაზე მეტად კი „ამერთან" გაგვიჭირდა — ვაგებდით, მაგრამ მოვინდომეთ და, საბედნიეროდ, მოვიგეთ.

**— თქვენი აზრით, 16-გუნდიანმა ჩემპიონატმა გაამართლა? ბევრი ამბობს, ადრე უფრო იყო დაძაბული თამაშები, როცა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 10-12 გუნდი თამაშობდაო...**

— ვფიქრობ, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ჯერჯერობით ამარილებს, რაც აქამდე ვნახე, ყველა თამაში დაძაბული იყო. ვნახოთ, პირველი წრის მერე რა იქნება.

**— თქვენი გუნდიდან ვის გამოარჩევდით? ვინ მიაჩნია ნესტორ მუმლაძეს „ვიტ ჯორჯიას" ლიდერად?**

— მიჭირს ვინმეს გამორჩევა და გთხოვთ, გვარებს ნუ დამასახელებინებთ. მე ყველას, მთლიანად გუნდს გამოვარჩევ. ბიჭების მონდომებას, ერთსულოვნებას რომ ვუყურებ, სხვაგვარად ვერც ვიფიქრებ.

**— წლეულს „ვიტ ჯორჯიას" მიზანი რა არის?**

— სამეულში უნდა მოვხვდეთ, კონკრეტულად ჩემპიონობა ჩვენთვის არავის მოუთხოვია.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ვაჰიდი ტრაპიზონში
## ყომარბაზი ათთვიანში გაუშვეს


ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი

**„ტრაბზონსპორის“** მწვრთნელად ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი დანიშნეს. ბოსნიელმა კლუბთან წლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.

ტრაპზონელებს ამ სეზონში შენოლ გიუნეში თავკაცობდა, მაგრამ მის ხელში გუნდმა რვიდან მხოლოდ სამი მატჩი მოიგო, რასაც გიუნეშის განთავისუფლება მოჰყვა.

„ტრაბიზონსფორი“ თურქეთის ერთ-ერთი უდიდესი კლუბია — თქვა ჰალილჰოჯიჩმა. მისი თამაშების ნახვა უკვე მოვასწარი, ზოგიერთ ფეხბურთელს კი კარგად ვიცნობ“.

ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი შარშან ამ დროს პსჟ-ს მწვრთნელი იყო, თუმც პარიზული გუნდის საქმეები უკან-უკან წავიდა და 2005-ის თებერვალში 53 წლის ბოსნიელი დაითხოვეს. შეგახსენებთ, რომ მის ხელქვეით მაროკოს „რაჯა კასაბლანკამ“ 1997 წელს აფრიკის ჩემპიონთა თასი მოიგო. შემდეგ ფრანგული „ლილი“ ჩაიბარა, მეორე დივიზიონიდან პირველში ალაზევა და ჩემპიონთა ლიგაშიც ათამაშა. სწორედ „ლილიდან“ გადაიყვანეს პსჟ-ში, სადაც ლუის ფერნანდესი შეცვალა.

ტრაპიზონული თემა კი გოკდენიზ კარადენიზით გავაგრძელოთ. „ტრაბზონსოფრის“ მთავარმცველე და თურქეთის ნაკრების წევრი ყომარბაზობაში ამხილეს. კარადენიზი თურმე მატჩების „ჩამწყობი“ ყოფილა. თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ მას ათი თვით თამაში აუკრძალა და 45 ათაი დოლარით დააჯარიმა.

**ვაჟა ხუციშვილი**


ემილიანო ბონაცოლი

# ჩვენი აღარ ხარ, მორჩა!

**ლევერკუზენის „ბაიერი“** იენს ნოვოტნის გაებუტა. 31 წლის მცველმა კლუბს უჩივლა, რადგან კუთვნილი ფული ვერ მიიღო.

„იმის გამო, რომ ჩვენს წინააღმდეგ სარჩელი აღძრა, შეუძლებელია, ამ გუნდის ფეხბურთელად დარჩეს“ — თქვა „ბაიერის“ პრესმდივანმა.

იენს ნოვოტნი, რომელიც ტრავმისგან ცოტა ხნის წინ გამოკეთდა, ექვსთვიანი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას ითხოვდა, არადა, კლუბის განცხადებით, მხოლოდ ექვსი კვირის ერგებოდა.

ფეხბურთელმა სასამართლო პროცესი ვერ მოიგო, მაგრამ ახლა უკვე მეორედ მიადგა მართლმსაჯულებას. ამჯერად ნოვოტნიმ ძველი ამბავი ამოქექა. 2002 წელს კონტრაქტის გახანგრძლივების სანაცვლოდ მიღებული ჯამაგირიდან ბეგარა კლუბმა უნდა გადაიხადოსო.

„ბაიერის“ სპორტულმა დირექტორმა რუდი ფიოლერმა ბრძანა, დავილალე ამ გაუთავებელი პრობლემის მოგვარებით, სირცხვილიაო.

ბუნდესნაკრების მაისურის 45-ჯერ მომრგები იენს ნოვოტნი 2005-ის თებერვალში დაშავდა და მას შემდეგ არ უთამაშია.

**ვაჟა ხუციშვილი**


იენს ნოვოტნი

# ფრთხილად, სლოვენიაა!
## ბონაცოლიმ ლიპის მიუკაკუნა

**იტალიის** ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის გასანაღდებლად სლოვენიასთან მატჩში ქულაც ჰყოფნის, მარჩელო ლიპიმ კი თქვა, მეტოქის სათანადოდ შეუფასებლობა არ ეგებისო: „მართალია, რომ მიზნამდე ქულა გვაკლია, მაგრამ მოდუნების და შეცდომის უფლება რა გვაქვს“.

„სკუადრა ადურას“ ბოლო მარცხის გემო სწორედ სლოვენიისგან ახსოვს. შარშან ამ დროს, 9 ოქტომბერს, იტალიელებმა შესარჩევ მატჩში 0:1 წააგეს, მას შემდეგ ექვსი მატჩი მოიგეს და ხუთი ფრედ დაასრულეს.

„ჩვენ ორი ამოცანა უნდა შევასრულოთ, ავიღოთ ქულა და გავაუმჯობესოთ თამაშის ხარისხი — ამბობს ლიპი — ერთი ტურით ადრე ჩემპიონატის საგზური თუ მოვიპოვეთ, მომდევნო მატჩებს დასახვეწად გამოვიყენებთ, რადგან გერმანიაში ნებისმიერ მეტოქესთან თანაბრად თამაში შევძლოთ. ჩემი ფეხბურთელების შრომით, მომდომებითა და ენთუზიაზმით კმაყოფილი ვარ“.

იტალია სლოვენიას პალერმოში „რენცო ბარბერაზე“ უმასპინძლებს.

მარჩელო ლიპის კი ნაკრებში ჰყავს „პალერმოს“ ყოფილი ფეხბურთელი, ამჟამად „ფიორენტინელი ლუკა ტონი და მწვრთნელს ქომაგთა მხარდაჭერის დიდად ეიმედება: „სიცილიელი გულშემატკივრები ჩვენთვის გამორჩეულნი იქნებიან და მჯერა, რომ ტონისაც მეტი მოტივაცია ექნება“.

მასიმო ოდოსა და კრისტიან პანუჩის არგამოძახების გამო მარჩელო ლიპის „კბილი გაჰკრეს“, მაგრამ „სკუადრა ადურას“ თავკაცმა კრიტიკოსებს ასე უპასუხა: „ფეხბურთელებს ჟურნალისტთა შეფასების მიხედვით არ ვარჩევ. ხომ მწვრთნელი ვიქნები, გადაწყვეტილებასაც მივიღებ და პასუხსაც მე ვაგებ“.

„სამპდორიას“ ფორვარდი ემილიანო ბონაცოლი, რომელიც ლუკა ტონისთან ერთად სერია A-ს ბომბარდირია, იმედოვნებს, რომ მარჩელო ლიპი ნაკრებში მიიწვევს. „როგორც ყველა ფეხბურთელს, მეც ნაკრებში თამაში მსურს — განაცხადა ბონაცოლიმ. უკვე ექვსი გოლი გავიტანე და ლიპის ალბათ ეს შეუმჩნეველი არ დარჩება“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კრესპოს სათაყვანებელი მაურინიუ



ერნან კრესპო

**ერნან კრესპომ** ჟოზე მაურინიუ მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა. „არც ინგლისურ და არც დანარჩენი ევროპის ფეხბურთში მსგავსი დონის სპეციალისტი არ არის“ — განაცხადა არგენტინელმა ფეხბურთელმა „მილანიდან“ ისევ „ჩელსიში“ დაბრუნების შემდეგ. და ეს მაშინ, როცა პორტუგალიელის რთული სათამაშო სისტემების და როტაციების გადამკიდე პატაგონიელ ფორვარდს ძირითადში ყოფნის არანაირი გარანტია არ გააჩნია, კრესპო „ჩელსის“ შემადგენლობაში არც პრემიერლიგის გასული კვირის მატჩისას გახლდათ. მაშინ მაურინიუს ბიჭებმა „ლივერპული“ დიდი ანგარიშით 1:4 დაამარცხეს. „ჟოზე მაურინიუმ ფეხბურთის თამაშის ახალი მანერა გამოიგონა“ — ამტკიცებს საკუთარი დამრიგებლის სიბრძნით აღტაცებული სამხრეთელი და მას მიმართ ქება-დიდებას არ იშურებს: „გენიალური სპეციალისტია. მოხარული ვარ, რომ ჟოზესთან ერთად მომიწია „ჩელსიში“ მუშაობა“.- „სტემფორდ ბრიჯის“ ამჟამინდელმა თავკაცმა კი ბურთაობაში და ქებაში ნიჭიერი კრესპო ჯერ კიდევ მაშინ შეამჩნია, რობსონის დამხმარე რომ იყო. დღეს უკვე ინგლისში ოსტატი და შეგირდი მშვენივრად უგებენ ერთმანეთს..

**ლადო ხომერიკი**

# ბორკილებიდან მწვრთნელობამდე

**მექსიკური** „კრუს ასულის“ სათავეში კვლავაც რუბენ ომარ რომანოს დაბრუნებას იქაური ინჩასები დიდი ზარ-ზეიმით შეეგებნენ. წარმოშობით არგენტინელი რომანო 19 ივლისს შეიარაღებულმა ბანდიტებმა სასტუმროდან გაიტაცეს და საბრალო მწვრთნელიც პოლიციის სპეცოპერაციამდე იძულებული გახდა 65 დღის განმავლობაში სახიფათო ცხოვრებით ეცხოვრა. „თითქოს ხელახლა დავიბადე, როცა ისევ ამ სტადიონზე მოვედი. მინდა, „კრუს ასულის“ ფანობას მხარდაჭერისთვის გულითადი მადლობა ვუთხრა“ — განაცხადა გულაყუჩებულმა დამრიგებელმა მედიასთან საუბრისას. ბოროტმოქმედთაგან სალ-სალამათად განთავისუფლებულმა რომანომ მექსიკურ აპერტურაში თავისი პირველი მატჩი უკვე ჩაატარა — „კრუს ასულმა“ „გვადალახარასთან“ 0:0 ითამაშა. მთავარი შედეგი კი არ არის, არამედ ის, რომ საყვარელი მწვრთნელი დავიბრუნეთო — აცხადებდნენ რუბენ ომარის გუნდის გულშემატკივრები.

**ლადო ხომერიკი**

## იტალია

### სერია B. VIII ტური

ვერონა 3:1 ბოლონია

1:0 ადაილტონი (12), 2:0 გერვასონი (16), 2:1 როკა (24), 3:1 რანტიერი (52)

ალბინოლეფე 0:0 კრემონეზე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 7 | 6 | 1 | 0 | 12:4 | 19 |
| ატალანტა | 7 | 5 | 0 | 2 | 11:8 | 15 |
| კატანია | 7 | 4 | 2 | 1 | 12:6 | 14 |
| მოდენა | 7 | 3 | 4 | 0 | 8:3 | 13 |
| ტორინო | 6 | 4 | 1 | 1 | 7:2 | 13 |
| კროტონე | 7 | 4 | 1 | 2 | 11:7 | 13 |
| არეცო | 7 | 3 | 3 | 1 | 7:3 | 12 |
| ვერონა | 8 | 3 | 3 | 2 | 8:5 | 12 |
| ტრიესტინა | 7 | 3 | 3 | 1 | 6:3 | 12 |
| ჩეზენა | 7 | 4 | 0 | 3 | 13:11 | 12 |
| ბოლონია | 8 | 3 | 2 | 3 | 9:10 | 11 |
| ბრეშა | 7 | 2 | 4 | 1 | 10:7 | 10 |
| პიაჩენცა | 7 | 2 | 2 | 3 | 8:12 | 8 |
| პესკარა | 7 | 2 | 1 | 4 | 7:10 | 7 |
| ვიჩენცა | 7 | 2 | 1 | 4 | 5:8 | 7 |
| რიმინი | 7 | 1 | 3 | 3 | 10:12 | 6 |
| კრემონეზე | 8 | 1 | 3 | 4 | 6:10 | 6 |
| ბარი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:7 | 5 |
| ალბინოლეფე | 8 | 0 | 5 | 3 | 5:8 | 5 |
| ტერნანა | 7 | 1 | 2 | 4 | 5:13 | 5 |
| კატანძარო | 7 | 1 | 1 | 5 | 4:11 | 4 |
| აველინო | 7 | 0 | 2 | 5 | 5:14 | 2 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. VI ტური

ბრაგა 1:0 ნავალი

1:0 ვანდინიუ (4)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 6 | 4 | 2 | 0 | 11:4 | 14 |
| ნასიონალი | 6 | 4 | 2 | 0 | 8:3 | 14 |
| ბრაგა | 6 | 4 | 2 | 0 | 5:0 | 14 |
| სპორტინგი | 6 | 4 | 0 | 2 | 8:8 | 12 |
| ბენფიკა | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 10 |
| ბოავიშტა | 6 | 2 | 4 | 0 | 10:6 | 10 |
| სეტუბალი | 6 | 3 | 1 | 2 | 4:2 | 10 |
| რიუ ავე | 6 | 3 | 1 | 2 | 8:7 | 10 |
| ბელენენსეში | 6 | 3 | 0 | 3 | 10:8 | 9 |
| ჟილ ვისენტე | 6 | 3 | 0 | 3 | 5:4 | 9 |
| ფერეირა | 6 | 3 | 0 | 3 | 7:8 | 9 |
| ამადორა | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| ნავალი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 7 |
| აკადემიკა | 6 | 1 | 2 | 3 | 6:7 | 5 |
| მარიტიმუ | 6 | 0 | 3 | 3 | 5:8 | 3 |
| გიმარაეში | 6 | 1 | 0 | 5 | 4:12 | 3 |
| ლეირია | 6 | 0 | 2 | 4 | 1:10 | 2 |
| პენაფიელი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:13 | 1 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ჩემს შვილს ბარსას მტრები იყენებენ...

„ბარსელონას“ არგენტინელი ფორვარდი ლეო მესის გარშემო ატეხილმა აურზაურმა ახალგაზრდა მოიერიშის მამა, ხორხე განარისხა. უმცროსმა მესიმ გასულ შაბათს „სარაგოსას“ წინააღმდეგ ითამაშა, თუმცა ესპანური პრიმერას ზოგიერთი კლუბის ადვოკატის თქმით, ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო პატაგონიელისთვის დეკემბერ-იანვრის სატრანსფერო ბაზრამდე არ უნდა მიეცათ ესპანეთის ჩემპიონატში ბურთაობის უფლება. „სარაგოსასთან“ ლეოს „ბარსას“ შემადგენლობაში ყოფნას „დეპორტივო“ და „ალავესი“ ასაჩივრებენ. კატალონიელთა თავდამსხმელის მამა კი, ცხადია, შვილზე შეტევებით უკმაყოფილო ჩანს. „18 წლის ბიჭს იყენებენ, რათა თავს დაესხან „ბარსელონას“, ასე სადამდე შეიძლება გაგრძელდეს? ალბათ სხვა ესპანური კლუბები ლეოს გუნდის მიღწევებით არიან დაბოღმილნი, ამგვარი გაბოროტება სხვანაირად ვერაფრით ამიხსნია. მე პირადად ბუენოს-აირესიდან ყველაფერს თვალყურს ვადევნებ და მინდა, გითხრათ, რომ საკმაოდ მშვიდად ვარ. ჩემი შვილი უკვე ევროკავშირელი გახდა, პასპორტიც წესრიგში აქვს და პრიმერადივიზიონში თამაში თავისუფლად შეუძლია“ — უთხრა ხორხე მესიმ „კომ პადიოს“ ჟურნალისტს.



ხუან ლაპორტა და ლეო მესი

თავად „ბარსელონას“ პრეზიდენტიც „დეპორტივოს“ და „ალავესის“ პროტესტს „კამპ ნოუს“ გრანდის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ერთ-ერთ ნაწილად მიიჩნევს. „ადვოკატთა განცხადებას მესის პრიმერაში უკანონო მონაწილეობის შესახებ არანაირი საფუძველი არა აქვს. ვიცი, ეს ორომტრიალი რატომაც დაიწყო — ზოგიერთი გუნდი ჩვენ პრივილეგირებულ, მთავრობის ფავორიტ კლუბად მიგვიჩნევს და ყველანაირ, თუნდაც მიზერულ შანსს ებღაუჭება, ზიანი რომ მოგვაყენოს. „ბარსას“ არც მთავრობაში ჰყავს მფარველი და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც მსაჯებს ვუყვარვართ ისე ძალიან, როგორც ამას მჯანნი ტრადიციებით ამტკიცებენ“ — აღნიშნა ხუან ლაპორტამ. „კამპ ნოუს“ გრანდის თავკაცმა „ელ მუნდო დეპორტივოსთან“ ინტერვიუში „მესის საქმის“ ინიციატორებს წარსულში, დიქტატურის დროს „ბარსას“ არცთუ სახარბიელო მდგომარეობა გაახსენა. „უბრალოდ, არ მინდა, ფრანკისტული ესპანეთის პერიოდში ჩემი გუნდის სიძნელეებზე ვილაპარაკო. თუკი ვინმე მაშინ მსაჯებს და იმდროინდელ ფედერაციას დაუჩაგრავთ, „ბარსელონა“ იყო. არა მგონია, თანამედროვე დემოკრატიის პირობებში ლეო მესის ამბავი ისეც უსამართლოდ გადაწყდეს“ — განაცხადა კატალონიელთა პრეზიდენტმა.

სამშობლოში „მეორე მარადონად“ წოდებულმა მესიმ პრიმერადივიზიონში ბურთაობის უფლება ესპანეთის მოქალაქეობის შემდეგ მიიღო. თუმც „დეპორტივოსა“ და „ალავესის“ ადვოკატთა თქმით, უკვე დაწყებულ პრიმერაში იქაურ გუნდებს ესპანელი მოთამაშეების შემატება ეკრძალებათ. ამრიგად, გამოდის, რომ ლეოს პირინეელთა ჩემპიონატის მეექვსე ტურში როგორც არგენტინელს, ისე უბურთავია, რაც თავის მხრივ არაევროკავშირელთა ლიმიტის დარღვევასაც ნიშნავს... ერთი სიტყვით, რთული რამაა ბიუროკრატია...

**ლადო ხომერიკი**



უტევს დიეგო ფორლანი

# გოლმშრალი მეგოლე

**დიეგო ფორლანის** „ვილიარეალმა“ ესპანური პრიმერადივიზიონის მეექვსე ტურში „ბილბაოს“ 3:1 მოუგო, თუმც მასპინძელთა ურუგვაელმა ფორვარდმა ვერაფრით ვერ მოახერხა გოლის შეგდება. შარშანდელი ჩემპიონატის მთავარმეგოლე (25 გატანილი ბურთი) ფორლანს ადგილობრივ პირველობაზე და ჩემპიონთა ლიგაში უკვე 7 მატჩია, მეტოქის მეკარეთა აკლებით არ გაუხარია. მას შემდეგ, რაც 28 აგვისტოს, პრიმერას გახსნით თამაშში, „ოსასუნასთან“ კენტი ბურთი შეაგდო, დიეგო უცნაურმა „გვალვამ“ შეაწუხა — „სევილია“, „კადისი“, „სელტა“, „ესპანიოლი“, „ბილბაო“, „მანჩესტერი“ და „ლილი“ ურუგვაელის გოლების წვიმას მოხერხებულად გაექცნენ. ესპანურმა „მარკამ“ დათვალა და აღმოჩნდა, რომ სამხრეთამერიკელის კრიზისი უკვე 645 სათამაშო წუთი გრძელდება. „ასეთი პერიოდები ადრეც მქონია, თუმც მერე გოლები პანტაპუნტით გამქონდა. მალე ჩემი დრო ისევ დადგება“ — აღუთქვა ფორვარდმა თავის გულშემატკივრებს. „ვილიას“ მატადორის ოდინდელი „მშრალი რეკორდი“ 448 წუთია, რაც ამჟამინდელს საკმაოდ ჩამორჩება.

**ლადო ხომერიკი**

# ლაიპციგს მარადონა და პელე ესტუმრებიან

**მსოფლიო** ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ ლეგენდარული არგენტინელი დიეგო არმანდო მარადონა გერმანიის მუნდიალის წილისყრაზე მიიწვია. მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ჯგუფურად 9 დეკემბერს, ლაიპციგში დაწყვილდებიან და ამ საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობას დიდ დიეგოსთან ერთად მითიური პელეც მიიღებს. მარადონას მიწვევის შესახებ კი გუშინ ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა განაცხადა: „აღფრთოვანებული ვარ დიეგო არმანდოს სასიკეთო ცვლილებებით. მან თავისი ნებისყოფის წყალობით ნარკოტიკებსა და ჭარბწონიანობას სასწაულებრივად დააღწია თავი. ვთვლი, რომ 2006 წლის მუნდიალის წილისყრაზე მარადონას დასწრება აუცილებელია“.

ბლატერი პრესას ურუგვაიში გაესაუბრა, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატების 75 წლისთავი აღინიშნება. პირველი მუნდიალი 1930 წელს სწორედ ამ ქვეყანაში ჩატარდა.

**ლადო ხომერიკი**



მარადონა და პელე

# ევანგელისტები ფეხბურთის სამსახურში

**2006 წლის** ზაფხულში გერმანიის ევანგელისტური ეკლესიის ტაძრები პირთამდე გადაიძეძგება. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღვთის სახლებს არა მარტო ევანგელისტები, არამედ განსხვავებული ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლები და სხვა რელიგიათა მიმდევრებიც მოაკითხავენ. საქმე აქ ფეხბურთის სიყვარულს ეხება. მოგეხსენებათ, გაისად ალემანურ მინდვრებზე მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება, ხოლო ევანგელისტებს გადაუწყვეტიათ, საფეხბურთო ფიესტა თავიანთ ტაძრებში აჩვენონ... ეკლესიამ მატჩების ტრანსლაციის უფლება შეისყიდა და მსოფლიოს ყველა ქვეყნის გულშემატკივრები (ვინც სტადიონზე ვერ მოხვდება, რა თქმა უნდა) გერმანია 2006-ის ბრძოლებს პირდაპირ ეთერში ტაძრებში დამონტაჟებულ გიგანტური ეკრანების საშუალებით ნახავენ. რასაკვირველია, ამ უჩვეულო „წირვაზე“ დასწრება უფასო იქნება, თუმც მოხალისეები მოწყალებას ალბათ მაინც გაიღებენ. ახლა საინტერესო ისაა, წმინდა ალაგას მოხვედრილი ფანები საყვარელი გუნდის წაგების შემთხვევაში ჩვეულ მაგარ-მაგრებს იტყვიან თუ არა...

**ლადო ხომერიკი**

# მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატი. პერუ.16 სექტემბერი-2 ოქტომბერი



მექსიკელები თასით ხელში

*პერუში დაახლოებით ორი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი, რომელიც, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, საკმაოდ საინტერესო და ლაღი გამოდგა. ბევრი ნიჭიერი მოთამაშეც გამოჩნდა და რამდენიმე ნაკრებმა სასიამოვნოდ გაგვაოცა.*


ნური საჰინი (მარჯვნივ)


ტევფლიკ კოზე

**A ჯგუფი**

ჩინეთი 1:1 კოსტა რიკა
პერუ 1:1 განა
განა 1:1 კოსტა რიკა
პერუ 0:1 ჩინეთი
კოსტა 2:0 პერუ
განა 1:1 ჩინეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ჩინეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| განა | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| პერუ | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

**B ჯგუფი**

ურუგვაი 0:2 მექსიკა
თურქეთი 1:0 ავსტრალია
მექსიკა 3:0 ავსტრალია
ურუგვაი 2:3 თურქეთი
ავსტრალია 2:1 ურუგვაი
მექსიკა 1:2 თურქეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:3 | 9 |
| მექსიკა | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ურუგვაი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |

**C ჯგუფი**

კოტ დივუარი 3:4 იტალია
ჩრდ. კორეა 2:3 აშშ
იტალია 1:3 აშშ
კოდ ტივუარი 0:3 ჩრდ. კორეა
აშშ 1:1 კოტ დივუარი
იტალია 1:1 ჩრდ. კორეა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| ჩრდ. კორეა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | 4 |
| კოტ დივუარი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |

**D ჯგუფი**

ჰოლანდია 5:3 ყატარი
ბრაზილია 1:3 გამბია
ყატარი 1:3 გამბია
ჰოლანდია 1:2 ბრაზილია
გამბია 0:2 ჰოლანდია
ყატარი 0:6 ბრაზილია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 2 | 0 | 1 | 9:4 | 6 |
| ჰოლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 8:5 | 6 |
| გამბია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| ყატარი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:14 | 0 |

**მეოთხედფინალები**

კოსტა რიკა 1:1 მექსიკა (1:3დ.დ.)
თურქეთი 5:1 ჩინეთი
აშშ 0:2 ჰოლანდია
ბრაზილია 1:1 ჩრდ. კორეა (3:1დ.დ.)

**ნახევარფინალები**

მექსიკა 4:0 ჰოლანდია
თურქეთი 3:4 ბრაზილია

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

ჰოლანდია 2:1 თურქეთი

**ფინალი**

მექსიკა 3:0 ბრაზილია

## ზიზინიოს ბიჭი მექსიკის ისტორიას ცვლის

**ერთ-ერთი** მთავარი სიურპრიზი გამბიის ნაკრები იყო, რომელიც მშვენივრად ბურთაობდა, მაგრამ ჯგუფში მხოლოდ იმიტომ ჩარჩა, რომ ჰოლანდიასა და ბრაზილიას ბურთების სხვაობით ვერ აჯობა. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ჩრდილოეთ კორეის სიმპათიური გუნდი, რომელმაც მეოთხედფინალშიც კარგად იბურთავა, მაგრამ დამატებით დროში ბრაზილიასთან მაინც დამარცხდა. სხვათა შორის, აზიელებმა ფეარ პლეის ჯილდო დაიმსახურეს.

ძლიერი ნაკრებები ჰყავდათ კოსტა რიკას, აშშ-სა და ჰოლანდიასაც. „ნარინჯისფერებმა“ ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს. აი, მეოთხე ადგილზე გასული თურქეთი კი ფინალში თამაშსაც იმსახურებდა. აბდულა ავჩის შეგირდებმა ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვეს. გამორჩეულად კარგად მათმა ორმა, ბუნდესლიგაში მოთამაშე ამომავალმა ვარსკვლავმა, დორტმუნდელმა ნური საჰინმა და ლევერკუზენელმა ტევფლიკ კოზემ, იბურთავა.

თურქეთისა და ბრაზილიის ნახევარფინალური მატჩი ტურნირზე საუკეთესო გახლდათ. სამხრეთამერიკელები პირველი ტაიმის მერე 3:0-ს იგებდნენ, მაგრამ თურქებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს და კინაღამ მეოთხეც შეაგდეს, თუმც ბოლო წუთზე დასანანი გოლი გაუშვეს და მესამე ადგილისთვის მატჩი უკვე უხასიათოდ გამართეს.

ჩემპიონი კი ნამდვილად ღირსეულია. მექსიკელებმა მთელი ტურნირი მაღალ დონეზე ჩაატარეს და მხოლოდ ორჯერ წაიბორძიკეს ოდნავ. მთლიანობაში ყველა მეტოქე დაჯაბნეს, ხოლო ფინალში ბრაზილია სულაც გაანადგურეს. ჩრდილოამერიკელთა ლიდერობა ორმა ძალიან ნიჭიერმა და უკვე საკმაოდ ცნობილმა მოთამაშემ — კარლოს ველამ და ჯოვანი დოს სანტოსმა ითავა.

თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ფინალში ბრაზილიელებს ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდი რენატო აკლდათ, ხოლო გუნდის ლიდერი ანდერსონი მალევე დაშავდა.

„არ ველოდი თუ ასეთი ანგარიშით მოვიგებდით, რადგანაც ბრაზილიას ბრწყინვალე შემადგენლობა ყავს. ჩემმა ბიჭებმა კი მთელი ტურნირის მანძილზე ჩინებულად ითამაშეს, როგორც ნამდვილ გუნდს შეეფერება. ძალიან გახარებული ვარ“ — აღნიშნა მექსიკელთა თავკაცმა ხესუს რამირესმა.

მექსიკელთა საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულმა ჯოვანი დოს სანტოსმა კი აღნიშნა: „ამ გამარჯვებით მთელი მექსიკური ფეხბურთის ისტორიას შევცვლით. ეს ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო დღეა“.

ადიდასის „ოქროს ბურთი“ ამ ტურნირის საუკეთესო მოთამაშის ტიტული ბრაზილიელ ანდერსონის ერგო, რომელიც თავის ნაკრებს ყველაზე მძიმე დროს ეხმარებოდა და მთლიანობაშიც ჩინებულად თამაშობდა. „ვერცხლის ბურთი“ ყოფილი პროფესიონალი ფეხბურთელის, მავანი ზიზინიოს შვილის ჯოვანი დოს სანტოსს ერგო, რომელიც მექსიკაში ცხოვრობს და თამაშობს. ადიდასს „ბრინჯაოს ბურთიც“ ქონდა დაწესებული, რომელიც თურქ საჰინს ერგო. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერ მოთამაშედ ტყუილად არ თვლიან.

საუკეთესო ბომბარდირი ხუთი გოლით კარლოს ველა გახდა. ერთბაშად 6 ფეხბურთელმა 4 ბურთი შეაგდო, მაგრამ ნური საჰინსა და მისი თანამემამულის ტევფლიკ კოზეს აქტივში ორი საგოლე პასიც იყო. ამიტომ „ვერცხლის ბუცი“ მათ ერგოთ.

**კოკი კანდელაკი**


ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი — ანდერსონი


მექსიკელი გოლეადორი კარლოს ველა მორიგ გოლს ხარობს


ჯოვანი დოს სანტოსი (შუაში)

# ანგელოზი ჯოჯოხეთიდან

*ის მოჭიდავეს უფრო ჰგავს, ვიდრე ფეხბურთელს, მაგრამ დღეს შვედეთში ყველაზე მაღალხელფასიანი მოთამაშეა. დანიის ნაკრების ქომაგთა ძველი ჯილა, სტივ ტოფტინგი „ჰეკენშია" და ყოველწლიურად მილიონნახევარ კრონს (160 ათასი ევრო) იღებს. ასეთი ჯამაგირი შვედური ლიგის არც ერთ სხვა ფეხბურთელს არა აქვს. „ჰეკენის" გულშემატკივრებს უყვართ დანიელი. უხარიათ, რომ მათ გუნდშია „ჰამბურგის" და „ბოლტონის" ყოფილი მოთამაშე, რომელსაც ევროპისა და მსოფლიოს ორ-ორი ჩემპიონატი გამოუვლია*



**„აქ ძალიან** ბევრს დარბიან და იბრძვიან — ასე აფასებს დანიელი შვედეთის ჩემპიონატს — ძლიერი გუნდები კი ცოტაა". კითხვაზე, თუ რატომ არ გადადის სხვაგან, ტოფტინგმა უპასუხა: „ბარსელონადან და ლივერპულიდან ჯერ არ დაურეკავთ".

სტივ ტოფტინგი „ჰეკენში" 2005 წლის დასაწყისში გადავიდა. კლუბის პატრონმა არად ჩააგდო ის ფაქტი, რომ დანიელ ფეხბურთელს 3 თვე და 16 დღე ციხეში ჰქონდა გატარებული. არც ისაა საიდუმლო, რომ ტოფინგი ბაიკერების კლუბ „ჯოჯოხეთის ანგელოზებთან" ძმაკაცობს. ამ კლუბისთვის 600 ათასი კრონიც კი უსესხებია.

შიშისმომგვრელი სახე და მოსვირინგებული ტანი — ეს მხოლოდ ტოფტინგის „მედლის" ცალი მხარეა. 2005-ის თებერვალში თავისი მაისურა აუქციონზე 140 ათას კრონად გაყიდა და თანხა ცუნამით დაზარალებულებს გადაურიცხა.

ბევრმა არ იცის, რომ ტოფტინგი 13 წლისა დაობლდა, 2003-ში კი 22 დღის შვილი გარდაეცვალა. „უმძიმესი დღეები გადავიტანე და ახლა მშვიდად ცხოვრება მსურს. მე ნორმალური, ოჯახის მოყვარული ადამიანი ვარ" — თქვა ფეხბურთელმა.

2002 წლის 23 ივნისს, ღამის 2 საათზე, ტოფტინგი და დანიის ნაკრების კიდევ ცხრა მოთამაშე კოპენჰაგენის რესტორანში ღრეობდა. მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნებულნი ქეიფის ხასიათზე იყვნენ. „ჩვენ სიმღერა გვინდა! გამორთე მუსიკა!" — დაიღრიალა ტოფტინგმა, მაგრამ რესტორნის პატრონმა არ გამორთო, რადგან ცხრა ფეხბურთელის გარდა იქ 250 კლიენტი იმყოფებოდა, რომლებიც მუსიკას უსმენდნენ. უარით გაბრაზებული წამოხტა და რესტორნის პატრონს მუშტი მოსდო. წარბგახეთქილი კაცი გაიქცა, მაგრამ ტოფტინგი, რომელსაც გრავესენი აკავებდა, ადმინისტრატორს სწვდა და მასაც სისხლი ადინა. მუშტისმქნეველი წუთის შემდეგ მიხვდა, რომ მიჰქარა და გარეთ გავარდა, მაგრამ პოლიციამ დაიჭირა.

ტოფტინგის ჩხუბი იმ ზაფხულს დანიური მედიის მთავარ თემად იქცა. 2002 წლის 5 ივნისს, დანია-სენეგალის მატჩის წინა დღეს, ერთ-ერთმა „ყვითელმა" გაზეთმა ტოფტინგის მშობლების სიკვდილის საზარელი ამბავი დაბეჭდა. კაცმა ცოლი მოკლა და მერე თავი მოიკლა. ეს ფაქტი ადრევე ცნობილი იყო მედიისთვის, მაგრამ დეტალები არასოდეს გაუხმაურებიათ. ვერავინ ივარაუდებდა, რომ შვილებმა აქამდე არ იცოდნენ, თუ როგორ დაეხოცათ მშობლები. სწორედ ამ ინფორმაციის შეტყობის შემდეგ აერია ტვინი ტოფტინგს და ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა ჯავრი რესტორნის შეპატრონეზე იყარა. საზარელი სიკვდილის ამბის გამომქვეყნებელი გაზეთის რედაქტორმა მოგვიანებით მოიბოდიშა, ტოფტინგს კი კოპენჰაგენის სასამართლომ ოთხთვიანი პატიმრობა მიუსაჯა.

ფეხბურთელი იმჟამად პრემიერლიგის „ბოლტონში" თამაშობდა და კლუბმა პატიმართან მაშინვე გაწყვიტა კონტრაქტი. სასჯელის მოხდის შემდეგ სტივ ტოფტინგმა ნახევარი წელი ჩინურ „ტიანჯი ტაიდაში" გაატარა, მერე სამშობლოში, „ორპუსში" დაბრუნდა, სადაც მისი კარიერა დაიწყო. 2004 წლის მიწურულს მუშტი მაინც „გაექცა" და პირობის თანახმად, ჩხუბის გამო გუნდიდან გააძევეს, თუმცა მწვრთნელმა „ჰეკენის" ვარიანტი გამოუნახა.

„ჰეკენთან" კონტრაქტი ჩემპიონატის ბოლოს უმთავრდება. გულშემატკივრებს არ სურთ, რომ წავიდეს, მაგრამ ტოფტინგი მაინც „ორჰუსში" დაბრუნებას აპირებს. „მინდა, დავეხმარო გუნდს, რომელმაც ფეხბურთელად ჩამომაყალიბა — ამბობს ტოფტინგი — ეს ალბათ ჩემს კარიერაში ბოლო შანსი იქნება".

**ვაჟა ხუციშვილი**



სტივ ტოფტინგი მუდამ ყურადღების ცენტრშია




ტოფტინგმა ბაიკერებს 600 000 ასესხა

# გალაქტიკური ზოოპარკი



მხეცუნები: ბაპტისტა, რონალდო და რობერტო კარლოსი

**მადრიდის** „რეალის" მხიარული ბიჭების, რონალდოს, რობინიოს, რობერტო კარლოსის და ჟულიო ბაპტისტას საქციელი სამეფო გუნდის არაბრაზილიელ წევრებს ერთობ აოცებს. საქმე მოედანზე გოლის გატანის შემდეგ თავისებურ რიტუალს ეხება — ეს ბოლო ორი მატჩია, კიჟა და მისი ძმაკაცები მეტოქის კარის დალაშქვრის მერე გახარებულ ინჩასთა თვალწინ ცხოველების თუ სასაცილო არსებების იმიტაციას აკეთებენ. ესპანურ პრიმერადივიზიონში „ალავესთან" გალაქტიკოსმა კომიკოსებმა „ტარაკნები" განასახიერეს. „მალიორკასთან" კი ჯერ „კურდღლებს" მიჰბაძეს, მერე კი ბაპტისტა, რობინიო და რონალდო რამდენჯერმე გადაახტნენ ერთმანეთს თავზე, მივიწყებული „გრძელი ვირის" თამაშის მსგავსად... თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „რეალმა" ხსენებულ ორ ჯახში 7 ბურთი შეაგდო, ნათელი გახდება, მოწინააღმდეგე გუნდების ფანები ბრაზილიელთა ამდენივე ჯამბაზობით რანაირად გაიხარებდნენ... „ალავესის" პრეზიდენტმა დმიტრი პიტერმანმა მადრიდული გრანდის ოკეანისგაღმელებს „მასხარები" უწოდა. თუმცა „ალავესსა" და ბასკეთს ვინ ჩივის, გალაქტიკოსთა ხუმრობის არსი თავად „რეალის" რამდენიმე ფეხბურთელმა ვერ გაიგო. „მე რომ „ალავესის" ან „მალიორკას" მობურთალი ვყოფილიყავი, რონალდოს და დანარჩენი ბრაზილიელების ანცობა ნამდვილად გამაბრაზებდა. რა თქმა უნდა, გოლის გატანის მერე ყველა თავისებურ რიტუალს მართავს, ოღონდ ეს ისე უნდა გააკეთო, მეტოქემ თავი შეურაცხყოფილად არ იგრძნოს. „რეალის" ყველა ბრაზილიელი ჩემი მეგობარია, თუმცა ხანდახან უშნო ხუმრობები იციან და რობერტო კარლოსს ამისთვის ხშირად წავუთაქებ ხოლმე" — აღნიშნა „სანტიაგო ბერნაბეუს" კლუბის მცველმა ივან ელგერამ „მარკასთან" შეხვედრისას. მადრიდელი უკანახაზელის აზრით, გოლის გატანა მთელმა გუნდმა უნდა იზეიმოს და არა ცალკეულმა რონალდომ ან რობინიომ. თუმცა... „უცებ წარმოვიდგინე — დავუშვათ რობერტომ გოლი შეაგდო, ჩვენ კი თერთმეტივე მოთამაშე ჩამწკრივებულები ერთმანეთს თავზე ვახტებით. ამას ისევე ბრაზილიელების სიგიჟე სჯობია" — სიცილით თქვა ივან ელგერამ.

„მარკამ" ოკეანისგაღმელ გალაქტიკოსმა „თეატრზე" აზრის გამოთქმა დევიდ ბექემსა და ურუგვაელ პაბლო გარსიასაც სთხოვა. რონის ხუმრობებით ახლაც გაოგნებული ვარო, მიუგო პირველმა, გარსია კი თურმე კიჟას საძმოს დაჩრდილავს და „რეალის" მომდევნო მატჩის დროს გოლის გატანის შემთხვევაში სტადიონზე პლაკატით ირბენს... კარგია, თუ ურუგვაელმა ეს სერიოზულად არ თქვა, რონალდო კი თავის ჯამბაზობას მალე ესპანეთიდან საერთაშორისო სარბიელზე გადაიტანს — აგერ ნახავთ, მუნდიალის შესარჩევში ბოლივიის ნაკრების კარს რომ შევლეწავ, რა სასაცილო მხეცუნები განვასახიეროო, მედიისთვის უთქვამს.

**ლადო ხომერიკი**

# გვიდოლინის ტურ დე ფრანსი



**„მონაკოს“** ახალი მწვრთნელი იტალიელი ფრანჩესკო გვიდოლინი ამბობს, რომ ველოსპორტის დიდი სიყვარულის წყალობით საფრანგეთის შესახებ ბევრი რამ იცის. როგორც გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდით გვიდოლინი „მონაკოს“ მწვრთნელის თანამდებობაზე დიდიე დეშანის შემცვლელად ორშაბათს დაასახელეს. აღსანიშნავია, რომ იტალიელი სპეციალისტის ფრანგული ფრიად შეზღუდულია, მაგრამ ამის მიუხედავად იგი ახალი საცხოვრებლით დიდად გახლავთ აღფრთოვანებული.

„ძალიან მიყვარს საფრანგეთი და ამ ქვეყნის ყველაზე პრესტიჟულ მთებზე ველოსიპედით ავსულვარ, — განაცხადა გვიდოლინიმ, — საფრანგეთის სიყვარული „ტურ დე ფრანსმა“ ჩამინერგა და გამიღვივა. ჩემი კერპი ლორან ფინიონი გახლდათ და ამიტომ ყოველი წლის ივლისში რამდენიმე დღეს ტურის სანახავად საფრანგეთს ვეწვეოდი ხოლმე“.

შემდეგ, 50 წლის მწვრთნელმა აღნიშნა, რომ „ტურ დე ფრანსისგან“ განსხვავებით ლიგა 1-ის შესახებ ბევრი არაფერი იცის.

„არ მოგატყუებთ, უახლოეს დღეებში ჩემთვის ბევრი რამ ახალი იქნება. რა საკვირველია, ვიცნობ ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან ოლივიე კაპო, ერნესტო ჩევანტონი, ფრანსუა მოდესტო და ლუკა ბერნარდი. უკვე ველაპარაკე ფლავიო რომასაც და ერთი სული მაქვს როდის შევუდგები საქმეს“.

საგრაფოს გუნდი დღეისათვის საფრანგეთის ჩემპიონატის ცხრილში მისთვის უსიამოვნო და უჩვეულოდ დაბალ მეთერთმეტე ადგილზეა, რის გამოც გვიდოლინი აცხადებს, რომ ტიტულს ამ სეზონში ალბათ ველარ შეწვდებიან, მაგრამ გულშემატკივრებს აუცილებლად უნდა დაუბრუნონ შემართება და ამაღლებული განწყობა.

„ვიცი, რომ ფრანგული ლიგა ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია, ხოლო თავად „მონაკო“ სულ ახლახან ჩემპიონთა ლიგის ფინალში იყო. ამიტომ, ჩვენი ახლანდელი ამოცანა ცხრილში ამაღლებაა, „ლიონის“ დაწევა კი ძნელი საქმე იქნება, რადგან ეს გუნდი გარდა იმისა, რომ დაწინაურდა, ძალიან კარგი გუნდია და მომავალშიც ბევრ ქულას მიითვლის. თუმცა ყველაფრის მიუხედავად მე ძალიან ამაყი ვარ და მიმაჩნია, რომ „მონაკოს“ სათავეში ჩადგომა ჩემი სამწვრთნელო კარიერის მწვერვალია. ვფიქრობ ამდენი წლის მუშაობის შემდეგ მაღალი დონის გუნდის სათავეში ჩადგომას ვიმსახურებდი“.

**პაპუნა ქედია**

# საიდან წავიდა დიდიე დეშანი და სად მივიდა ფრანჩესკო გვიდოლინი

*ამ შემოდგომის ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი მოვლენა „მონაკოს“ დასუსტება გახლავთ. ვერაფერში ვერ ივარგა საგრაფოს გუნდმა. ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ეტაპიდან გამოვარდა, საფრანგეთის ჩემპიონატში მეთერთმეტე ადგილზეა, მწვრთნელი, დიდიე დეშანი, რომელსაც ერთი ხნის წინ მთელი ევროპა აქებდა და ადიდებდა, გაექცა.... რომ მიდიოდა დეშანმა განაცხადა, მთელი ეს უბედურება თავს იმიტომ დაგვატყდა, რომ კლუბის მეპატრონეებმა შემადგენლობის გამლიერების მაგივრად საუკეთესო ფეხბურთელები გაყიდესო.*

*ამ ორშაბათს კი მონაკოელთა ახალი მწვრთნელის ვინაობა გახდა ცნობილი: იტალიელი ფრანჩესკო გვიდოლინი. ეს, სერია A-ს მეორეხარისხოვან კლუბებში ნამუშევარი სპეციალისტი მძიმე მდგომარეობიდან საგრაფოს გუნდის თანდათანობით ამოყვანას აპირებს. „მონაკომ“ უპირველეს ყოვლისა, ალბათ ცხრილში ზევით უნდა აინაცვლოს, შემდეგ კი.... შევახსენებთ, რომ დეშანის ხელმძღვანელობით გუნდმა 2004 წლის მაისში ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა, ასე, რომ მონაკოელ ქომაგებს ორიენტირი ვფიქრობთ მკაფიო აქვთ.*

*და ამიტომაც გადავწყვიტეთ შემოგკადროთ წერილი იმის შესახებ, რისი ავან-ჩავანიც ალბათ, ისედაც კარგად იცით — მონაკოზე მოგახსენებთ. ბოლოს და ბოლოს ამ სუქტემბერში სიტყვა მონაკო იმდენჯერ ვახსენეთ, რომ ვფიქრობთ, მისი სადაურობისა და რაობის ამბავი თუნდაც გამეორებად ღირს.*



„ლუი მეორე“ უბანს ერწყმის

## სტადიონი

სტადიონს, რომელზეც „მონაკო“ თამაშობს „ლუი მეორე“ ჰქვია და იგი საზეიმოდ არც თუ დიდი ხნის წინ გარდაცვლილმა პრინცმა რანიემ 1985 წელს გახსნა. როგორც ამბობენ, „ლუი მეორე“ უფრო სპორტკომპლექსია ვიდრე მხოლოდ საფეხბურთო სარბიელი. სტადიონი მდებარეობს მონტე კარლოს იმ უბანში, რომელსაც ფონტვიელი ეწოდება. მისი ტევადობაა 18 532 და იქ, საფეხბურთო მოედნის გარდა არის სამძლეოსნო ტრეკი, ოლიმპიური ზომა-წონის საცურაო აუზი, საუნები, სკვოშის კორტები და სხვა.

„ლუი მეორე“ საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სტადიონია. იგი გარეგნული იერით ისეა ჩაფიქრებული, რომ გარშემო ნაგებობებისგან არ გამოირჩევა, თითქოსდა უბანშია შერწყმული. საკუთრივ საფეხბურთო მოედანი მანქანების სადგომის ჭერზეა დაგებული ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მინდორს ქვემოთ მანქანების პარკია და ეს ზღვის დონიდან რვა მეტრზეა მოწყობილი.

საუკეთესო ადგილებად ჩრდილო ტრიბუნის ზედა რიგები ითვლება, საიდანაც ზღვის ხედია გადაშლილი და თუ მოედანზე ცუდი თამაშია, შეგიძლიათ პეიზაჟით დატკბეთ.

საინტერესოა, რომ მონაკოს ტრიბუნებზე ის 18 532 ადგილი ძალიან იშვიათად ივსება, ასე, რომ თუ ბედი გაგიღიმებთ და იქ მოხვდებით, ბილეთების საშოვნელად ქალაქის ცენტრალურ სალაროებში სირბილი არ დაგჭირდებათ, შეგიძლიათ იგი უშუალოდ „ლუი მეორის“ ჭიშკართან იყიდოთ. და მაინც, თუ გირჩევნიათ გული საგულეს გქონდეთ, სტადიონს ხუთიათი დღით ადრე უნდა მიაკითხოთ ან ტელეფონით თუ ინტერნეტით შეუკვეთოთ ბილეთი.



კაზინო... ამით ყველაფერი ნათქვამია

## რა ვაკეთოთ, რით დავიწყოთ

მონაკოში საკეთებელს რა გამოლევს, მაგრამ ტურისტისთვის ყველაფერს დათვალიერებით დაწყება სჯობს. სხვათაშორის ადგილობრივ მონარქთა საყვარელი საქმიანობაც სწორედ ეს იყო: წამო ჩვენს უშვენიერეს მამულს გადავავლოთ თვალიო. მოკლედ, თუ მონაკოში მოხვდებით, სანამ სტადიონზე წახვალთ შეგიძლიათ სანაპიროზე გაიაროთ და ნავსადგური ნახოთ ან თუ მაინც და მაინც სპორტის გიჟი ხართ, შეგიძლიათ ფორმულა ერთის ტრასას ეწვიოთ.

სხვათაშორის, თუ მონაკოში ფორმულის ეტაპამდე ერთი თვით ადრე ან შემდეგ ჩახვალთ, ნახავთ გადაკეტილ ქუჩებს, უშველებელ კონსტრუქციებს მონტაჟის ან დემონტაჟის პროცესში და ამგვარ ფუსფუსს, ხოლო თუ უშუალოდ რბოლაზე გნებავთ მოხვედრა ჩვენი რჩევაა თადარიგი ძალიან ადრე დაიჭიროთ და საფულე კარგად მოისინჯოთ.

და რასაკვირველია, ჩახვიდეთ მონაკოში და არ შებრძანდეთ ლეგენდარულ კაზინოში დაუშვებელია. აზარტული არ ხართ? კი მაგრამ დიდებული არქიტექტურის ხილვაც არ გსიამოვნებთ? ოღონდ, კაზინოში პასპორტის და გამოწკეპვის გარეშე, არ უშვებენ და... 21 წელზე უფროსი უნდა იყოთ. ჰო, მართლა, მონაკოში ოთხი კაზინოა, ოღონდ იმას რომელზეც ჩვენ მოგახსენებთ, მარტივად „ლე კაზინო“ ჰქვია.

## ნიცაში?

ჰო, რატომაც არა! მონაკო ხომ ძალიან პატარა ადგილია და ამიტომ ხალხი ხშირად ნიცაში ბინავდება. მონაკოდან ნიცამდე საგარეუბნო მატარებელი 20 წუთს უნდება. და მაინც, თუ მონაკოში დარჩენა დაგიჩემებიათ ერთვარსკვლავიან „ოტელ კოსმოპოლიტში“ მიდით, სადაც ღამეში 60 ევროს გამოგართმევენ. ისე კი გააჩნია ვინ ბრძანდებით. შეგიძლიათ სამვარსკვლავიან „ოტელ კოლუმბუსში“ ღამე 203 ევროდ გაათენოთ, ხოლო თუ სხვა გზა არ არის, კაზინოს გვერდით უნდა დაბინავდეთ და თავიც ძალიან-ძალიან მოიწონოთ, „ოტელ დე პარიში“ უხალხობისას 390, ხოლო სეზონზე 2000 ევროდ დახვეწილი მომსახურეობა შეგიძლიათ დააგემოვნოთ.

## და იცოდით?

მონაკო, რომლის მოსახლეობა სულ 20 ათასია და ამ ხალხიდან ნამდვილი მონაკოელი მხოლოდ 20 პროცენტია — დანარჩენი უცხოელია, რომელმაც მონაკოს პასპორტი მიიღო — 1993 წელს გაეროს სრულუფლებიანი წევრი გახდა?

**პაპუნა ქედია**

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. I ლიგა

7 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 3 | ბორნმუთი-დონკასტერი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 22:45 | 4 | ტრანმერი-სკანთორპი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:30 | 6 | როტერჰემი-ბარნსლი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 15:30 | 7 | იოვილი-სუონსი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 16:00 | 8 | უოლსოლი-დონსი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 16:00 | 9 | სუინდონი-პორტ ვეილი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 10 | ოლდემი-ბრენტფორდი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 11 | ბლეკპული-კოლჩესტერი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 12 | საუთენდი-ნოტინგემი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |

### ინგლისი II ლიგა

7 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 14 | დარლინგტონი-მაკლსფილდი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 22:45 | 15 | გრიმსბი-უიკომბი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 22:45 | 16 | ლინკოლნი-ჩელტენემი | 2.15 | 3.20 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |
| 22:45 | 17 | მენსფილდი-შრიუსბერი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 22:45 | 18 | ნოტსი-ბოსტონი | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 22:45 | 19 | ოქსფორდი-კარლაილი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 22:45 | 20 | როვერსი-ნორთჰემპტონი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 22:45 | 21 | ჩესტერი-როჩდეილი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 22:45 | 22 | რაშდენი-ბერი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 22:45 | 23 | ტორკი-ბარნეტი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 24 | სტოკპორტი-ლეიტონი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |

### ინგლისი. კონფერენსი

7 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 26 | კემბრიჯი-ტემუორთი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 22:45 | 33 | საუთპორტი-ფორესტ გრინი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 22:45 | 34 | აკრინგტონი-ჰერეფორდი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 27 | კონვი-ალტრინჰემი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 15:15 | 28 | უოკინგი-გრეისი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 16:00 | 29 | ექსეტერი-ჰალიფაქსი | 1.90 | 3.40 | 3.30 | 1.21 | 1.20 | 1.67 |
| 16:00 | 30 | გრეივსენდი-იორკი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 16:00 | 31 | კიდერმინსტერი-მორკემბი | 2.50 | 3.30 | 2.40 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| 16:00 | 32 | სკარბორო-ქროული | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 17:00 | 35 | ბარტონი-სტივენეიჯი | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 36 | დაგ ენდ რედი-ალდერშოტი | 1.95 | 3.40 | 3.20 | 1.23 | 1.21 | 1.64 |

### შოტლანდია I დივიზიონი

7 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 521 | როსი-ერდრი | 1.65 | 3.50 | 4.20 | 1.12 | 1.18 | 1.90 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

7 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 522 | სტირლინგი-ალოა | 2.35 | 3.50 | 2.45 | 1.40 | 1.19 | 1.44 |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 523 | პიტერჰედი-ეარი | 2.30 | 3.50 | 2.45 | 1.38 | 1.18 | 1.44 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

7 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 524 | ისტ ფაიფი-არბროთი | 1.90 | 3.60 | 3.20 | 1.24 | 1.19 | 1.69 |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 525 | ბერიკი-ელგინი | 1.30 | 4.50 | 7.00 | 1.00 | 1.09 | 2.73 |

### ესპანეთი. II დივიზიონი

8 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 83 | ფეროლი-ალბასეტე | 2.50 | 2.90 | 2.75 | 1.34 | 1.30 | 1.41 |
| 20:30 | 86 | ლეიდა-ჰერკულესი | 2.05 | 3.00 | 3.55 | 1.21 | 1.29 | 1.62 |
| 20:30 | 88 | ეხიდო-ტარაგონა | 2.15 | 2.90 | 3.40 | 1.23 | 1.31 | 1.56 |
| 21:00 | 89 | ტენერიფე-ნუმანსია | 1.95 | 3.00 | 3.80 | 1.18 | 1.28 | 1.67 |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 80 | სიუდადი-სერესი | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| 20:00 | 81 | ეიბარი-რეალი(ბ) | 2.05 | 2.90 | 3.60 | 1.20 | 1.30 | 1.60 |
| 19:00 | 82 | ელჩე-მურსია | 2.35 | 2.90 | 3.00 | 1.29 | 1.31 | 1.47 |
| 19:00 | 84 | სპორტინგი-კასტელონი | 1.75 | 3.10 | 4.70 | 1.11 | 1.27 | 1.86 |
| 19:00 | 85 | ლევანტე-უელვა | 1.90 | 3.00 | 4.10 | 1.16 | 1.29 | 1.73 |
| 19:00 | 87 | ლორკა-მალაგა ბ | 2.20 | 2.90 | 3.30 | 1.25 | 1.32 | 1.54 |
| 19:00 | 90 | ვალიადოლიდი-ალმერია | 1.90 | 2.90 | 4.30 | 1.14 | 1.31 | 1.73 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი

7 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 92 | დიჟონი-კაენი | 2.25 | 2.80 | 3.30 | 1.24 | 1.33 | 1.51 |
| 22:30 | 93 | გენგამი-ლე ავრი | 2.30 | 2.80 | 3.20 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| 22:30 | 94 | ისტრი-გენიონი | 2.00 | 2.70 | 4.30 | 1.14 | 1.36 | 1.65 |
| 22:30 | 95 | ლავალი-ბრესტი | 2.30 | 2.80 | 3.20 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| 22:30 | 97 | რეიმსი-კრეტეი | 2.70 | 2.70 | 2.75 | 1.35 | 1.36 | 1.36 |
| 22:30 | 98 | სედანი-მონპელიე | 1.65 | 3.10 | 5.50 | 1.07 | 1.26 | 1.98 |
| 22:30 | 99 | ვალენსიენი-ამიენი | 2.10 | 2.80 | 3.60 | 1.20 | 1.32 | 1.57 |
| 22:30 | 100 | სეტე-ბასტია | 3.50 | 2.80 | 2.15 | 1.55 | 1.33 | 1.21 |
| 22:30 | 101 | კლერმონი-გრენობლი | 2.30 | 2.80 | 3.20 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| | | **10 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 96 | ლორიანი-შატორუ | 2.05 | 2.80 | 3.60 | 1.18 | 1.30 | 1.57 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი

6 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 122 | ალმერე-ზვოლე | 5.00 | 3.40 | 1.60 | 2.02 | 1.21 | 1.08 |
| 22:00 | 123 | ტელსტარი-ვეენდამი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 22:00 | 126 | ემენი-მაასტრიხტი | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 22:00 | 129 | იგლსი-ეინდჰოვენი | 1.80 | 3.40 | 3.70 | 1.17 | 1.21 | 1.77 |
| | | **7 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:00 | 121 | ვენლო-დორდრეხტი | 1.45 | 3.90 | 5.80 | 1.05 | 1.15 | 2.33 |
| 22:00 | 124 | ჰელმონდი-ჰაარლემი | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| 22:00 | 125 | კამბური-გრააფსხაპი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 22:00 | 128 | სიტარდი-ვოლენდამი | 4.00 | 3.40 | 1.70 | 1.83 | 1.19 | 1.13 |
| 22:00 | 130 | აპელდორნი-ოსი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |

### ნორვეგია. I დივიზიონი

9 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 151 | ფოლო-პორს გრენლანდი | 2.65 | 3.70 | 2.20 | 1.54 | 1.20 | 1.37 |
| 17:00 | 152 | ჰიოდი-სტრიომსგოდსეტი | 1.85 | 3.90 | 3.30 | 1.25 | 1.18 | 1.78 |
| 17:00 | 153 | კონგსვინგერი-ალტა | 1.55 | 4.10 | 4.30 | 1.12 | 1.13 | 2.09 |
| 17:00 | 154 | ლოვ ჰამი-ბრინი | 2.55 | 3.90 | 2.20 | 1.54 | 1.18 | 1.40 |
| 17:00 | 155 | მანდალი-მოსი | 2.85 | 3.80 | 2.00 | 1.62 | 1.17 | 1.31 |
| 17:45 | 156 | სანდეფიორდი-ჰიონეფოსი | 2.10 | 3.60 | 2.85 | 1.32 | 1.20 | 1.59 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### ირლანდია

**7 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 176 | დროგედა-შემროკი | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 23:00 | 179 | შელბურნი-სტ.პატრიკსი | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 23:00 | 181 | პერპსი-დერი | 5.00 | 3.40 | 1.60 | 2.02 | 1.21 | 1.08 |

**9 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 180 | ლონგფორდი-ბრეი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |

### არგენტინა

**7 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 199 | ხიმნასია ჟ-არსენალი | 2.45 | 3.00 | 2.55 | 1.34 | 1.24 | 1.37 |
| 23:45 | 200 | ინსტიტუტო-ხიმნასია ლპ | 2.15 | 3.00 | 2.85 | 1.25 | 1.22 | 1.46 |

### მჩ. შესარჩევი მატჩები

**8 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 242 | პანამა-ტრინიდადი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 23:45 | 243 | კოსტა რიკა-აშშ | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 23:45 | 244 | მექსიკა-გვატემალა | 1.25 | 4.80 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.18 |
| 23:45 | 245 | კოლუმბია-ჩილე | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 23:45 | 247 | ვენესუელა-პარაგვაი | 2.70 | 3.10 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.33 |
| 17:00 | 250 | ჩრდ.ირლანდია-უელსი | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| 22:15 | 251 | ხორვატია-შვედეთი | 2.35 | 3.00 | 3.00 | 1.31 | 1.31 | 1.50 |
| 19:00 | 252 | ბულგარეთი-უნგრეთი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 18:00 | 253 | ფინეთი-რუმინეთი | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 19:00 | 254 | ინგლისი-ავსტრია | 1.20 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.67 |
| 22:45 | 256 | შვეიცარია-საფრანგეთი | 4.00 | 3.20 | 1.80 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| 18:00 | 257 | შოტლანდია-ბელარუსი | 1.50 | 3.70 | 5.80 | 1.06 | 1.19 | 2.25 |
| 19:00 | 258 | რუსეთი-ლუქსემბურგი | 1.02 | 10.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 7.14 |
| 19:00 | 259 | სლოვაკეთი-ესტონეთი | 1.20 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.53 |
| 20:15 | 260 | უკრაინა-ალბანეთი | 1.20 | 5.30 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.46 |
| 21:50 | 261 | ისრაელი-ფარერები | 1.05 | 8.00 | 18.00 | 1.00 | 1.00 | 5.53 |
| 21:00 | 262 | კვიპროსი-ირლანდია | 9.50 | 4.70 | 1.25 | 3.14 | 1.10 | 1.00 |
| 21:00 | 263 | ლიტვა-სერბეთი | 6.20 | 3.60 | 1.50 | 2.27 | 1.20 | 1.05 |
| 22:00 | 264 | ბოსნია-სან მარინო | 1.03 | 9.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 6.20 |
| 22:00 | 265 | დანია-საბერძნეთი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 22:15 | 266 | ნორვეგია-მოლდოვა | 1.15 | 5.80 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.91 |
| 22:30 | 267 | ჩეხეთი-პოლანდია | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| 22:45 | 268 | ბელგია-ესპანეთი | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| 23:00 | 269 | იტალია-სლოვენია | 1.25 | 4.60 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.15 |
| 23:45 | 270 | პორტუგალია-ლიხტენშტეინი | 1.02 | 10.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 7.14 |
| 16:00 | 271 | უზბეკეთი-ბაჰრეინი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |

**9 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 246 | ბოლივია-ბრაზილია | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 23:45 | 248 | ეკვადორი-ურუგვაი | 1.95 | 3.10 | 3.50 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| 23:45 | 249 | არგენტინა-პერუ | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |

### ამხანაგური მატჩები

**7 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 519 | პოლონეთი-ისლანდია | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |

**8 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 272 | თურქეთი-გერმანია | 2.55 | 3.00 | 2.50 | 1.37 | 1.26 | 1.36 |
| 14:00 | 520 | ლატვია-იაპონია | 2.40 | 3.00 | 2.60 | 1.33 | 1.24 | 1.39 |

### ეჩ. შესარჩევი მატჩები(21)

**7 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 273 | ფინეთი(21)-რუმინეთი(21) | 4.50 | 3.50 | 1.65 | 1.96 | 1.20 | 1.12 |
| 18:40 | 274 | ჩეხეთი(21)-პოლანდია(21) | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 21:00 | 275 | დანია(21)-საბერძნეთი(21) | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 19:00 | 277 | უკრაინა(21)-ალბანეთი(21) | 1.10 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 4.21 |
| 19:00 | 278 | რუსეთი(21)-ლუქსემბურგი(21) | 1.01 | 9.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 6.20 |
| 19:00 | 279 | სლოვაკეთი(21)-ესტონეთი(21) | 1.10 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 4.21 |
| 17:00 | 280 | კვიპროსი(21)-ირლანდია(21) | 4.30 | 3.40 | 1.70 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| 21:30 | 281 | შვეიცარია(21)-საფრანგეთი(21) | 2.85 | 3.10 | 2.25 | 1.48 | 1.25 | 1.30 |
| 23:00 | 282 | იტალია(21)-სლოვენია(21) | 1.30 | 4.50 | 7.00 | 1.00 | 1.09 | 2.73 |
| 22:00 | 283 | ნორვეგია(21)-მოლდოვა(21) | 1.30 | 4.40 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.77 |
| 22:30 | 284 | შოტლანდია(21)-ბელარუსი(21) | 2.15 | 3.30 | 2.80 | 1.30 | 1.21 | 1.51 |
| 22:45 | 285 | ინგლისი(21)-ავსტრია(21) | 1.20 | 5.30 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.40 |
| 22:30 | 286 | გერმანია(21)-უელსი(21) | 1.20 | 5.40 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.50 |
| 22:30 | 287 | ბელგია(21)-ესპანეთი(21) | 2.60 | 3.00 | 2.50 | 1.39 | 1.27 | 1.36 |
| 20:00 | 288 | ლიტვა(21)-სერბეთი(21) | 4.30 | 3.50 | 1.60 | 1.92 | 1.16 | 1.09 |
| 17:00 | 289 | ბოსნია(21)-სან მარინო(21) | 1.05 | 9.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.62 |
| 17:00 | 290 | ბულგარეთი(21)-უნგრეთი(21) | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 17:30 | 291 | ხორვატია(21)-შვედეთი(21) | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |

### ჰოკეი. NHL

**6 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 365 | რეინჯერსი-მონრეალი | 2.10 | 4.10 | 2.40 | 1.38 | 1.12 | 1.51 |
| 23:45 | 366 | სტ.ლუისი-დეტროიტი | 2.25 | 4.00 | 2.30 | 1.44 | 1.13 | 1.46 |
| 23:45 | 367 | ლოს ანჯელესი-ფენიქსი | 1.90 | 4.10 | 2.70 | 1.29 | 1.11 | 1.62 |

### ჰოკეი. შვედეთი

**6 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 398 | ლულეო-მორა | 1.70 | 4.30 | 3.30 | 1.21 | 1.12 | 1.86 |
| 21:00 | 399 | ბრიუნესი-სიოდერტელიე | 1.90 | 4.20 | 2.60 | 1.30 | 1.09 | 1.60 |
| 21:00 | 400 | ლინჩიოპინგი-მოდო | 1.55 | 4.50 | 3.80 | 1.15 | 1.10 | 2.06 |
| 21:00 | 401 | იურგორდენი-ლეკსანდი | 1.95 | 4.20 | 2.65 | 1.33 | 1.12 | 1.62 |
| 21:00 | 402 | ტიმრე-ჰვ 71 | 2.35 | 4.10 | 2.10 | 1.49 | 1.10 | 1.38 |
| 21:00 | 403 | ფერიესტადი-ფრიოლუნდა | 1.90 | 4.20 | 2.75 | 1.30 | 1.12 | 1.66 |

### ჰოკეი. ფინეთი

**6 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 419 | ჰელსინკი-კერპეტი | 2.25 | 4.00 | 2.10 | 1.44 | 1.08 | 1.37 |
| 19:30 | 420 | პელიკანსი-იუვესკიულე | 2.50 | 4.20 | 1.95 | 1.56 | 1.09 | 1.33 |
| 19:30 | 421 | კალპა-ტურკუ | 2.60 | 4.00 | 1.85 | 1.57 | 1.08 | 1.26 |
| 19:30 | 422 | ტაპარა-იოკერიტი | 1.60 | 4.20 | 3.30 | 1.15 | 1.07 | 1.84 |
| 19:30 | 423 | ლუკო-ილვესი | 1.85 | 4.20 | 2.70 | 1.28 | 1.09 | 1.64 |
| 19:30 | 424 | ჰაამეენლინა-ესეტი | 1.50 | 4.30 | 3.70 | 1.11 | 1.06 | 1.98 |
| 19:30 | 425 | სეიპა-ესპოო | 2.35 | 4.10 | 2.10 | 1.49 | 1.10 | 1.38 |

### ჰოკეი. ჩეხეთი

**7 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 434 | ზლინი-ტრჟინეცი | 1.55 | 4.20 | 4.00 | 1.13 | 1.11 | 2.04 |
| 19:30 | 435 | პლზენი-სპარტა | 2.40 | 4.00 | 2.15 | 1.50 | 1.13 | 1.39 |
| 19:30 | 436 | კარლოვი ვარი-ვსეტინი | 1.55 | 4.20 | 3.80 | 1.13 | 1.10 | 1.99 |
| 19:30 | 437 | ზნოიმო-პარდუბიცე | 2.15 | 4.00 | 2.35 | 1.39 | 1.12 | 1.48 |
| 19:30 | 438 | კლადნო-ვიტკოვიცე | 2.00 | 4.00 | 2.55 | 1.33 | 1.12 | 1.55 |
| 19:30 | 439 | ბუდიოვიცე-ლიბერეცი | 2.20 | 4.00 | 2.30 | 1.41 | 1.12 | 1.46 |
| 21:00 | 440 | სლავია-ლიტვინოვი | 1.35 | 4.40 | 5.30 | 1.03 | 1.07 | 2.40 |

### ჰოკეი. სლოვაკეთი

**7 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 448 | კოშიცე-ჟილინა | 1.55 | 4.20 | 3.50 | 1.13 | 1.07 | 1.90 |
| 19:00 | 449 | სკალიცა-ტრენჩინი | 2.30 | 4.00 | 2.25 | 1.46 | 1.13 | 1.44 |
| 19:00 | 450 | მიკულაში-პოპრადი | 2.35 | 4.00 | 2.20 | 1.48 | 1.13 | 1.41 |
| 19:00 | 451 | მარტინი-ნიტრა | 2.90 | 4.00 | 1.75 | 1.68 | 1.09 | 1.21 |
| 19:00 | 452 | სლოვანი-ზვოლენი | 1.75 | 4.00 | 3.10 | 1.21 | 1.11 | 1.74 |

## ფორმულა 1. იაპონია. 6 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | კულტჰარდი | 100.00 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | სატო | 40.00 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | რაიკონენი | 1.90 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | ალონსო | 4.60 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | მ.შუმახერი | 12.00 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | ფიზიკელა | 15.00 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | ბატონი | 22.00 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | ბარიკელო | 22.00 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | ტრული | 25.00 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | მონტოია | 3.10 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | უებერი | 45.00 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | ვილნევი | 150.00 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | მასა | 70.00 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | პიცონია | 75.00 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | კლიენი | 80.00 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | ალბერსი | 250.00 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | დორნბოსი | 250.00 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | კარტიკეიანი | 200.00 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | მონტეირო | 150.00 |
| 23:45 | 1001 | გამარჯვებული | რ.შუმახერი | 35.00 |

# კოკა-კოლას საჩუქარი

## ჯილდო, ხელფასი, ნაკრები...

**კოკა-კოლა-ს თასი**

**Coca-Cola Cup**

**კოკა-კოლას თასი. 5-9 ოქტომბერი**

**კაცები**

**პირველი წრე**

**ნიკა კაპლია** — დიმიტრი ჯანუაშვილი 6:2 6:1; **სანდრო თოფურიძე** — გიორგი ბერძენიშვილი 6:2 6:2; **პაატა კოპალეიშვილი** — კონსტანტინე ლანჩავა 3:6 6:2 6:3; **გივი გორდაძე** — ბიჭი რამიშვილი 6:2 6:2; **ზვიად ცერცვაძე** — ნიკა ბაქრაძე 6:0 6:2; **გიორგი ნავროზაშვილი** — სანდრო თავხელიძე 6:0 6:2; **ზვიად ზაალიშვილი** — თემურ ძაგნიძე 7:6 6:3

**მეორე წრე**

**ირაკლი უშანგიშვილი (1)** — ნიკა კაკულია №:4 6:1

**ვიქტორ მესხი** — პაატა კოპალეიშვილი 6:3 6:7 6:1

**გუშინ** მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე „ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის" კორტებზე საქართველოს მეთოთხმეტე ჩემპიონატი დაიწყო. იგი იმითაა გამორჩეული, რომ მონაწილეებს ფინანსური დაინტერესება აქვთ. 5000-დოლარიანი საპრიზო ფონდი ჩოგბურთის ფედერაციის ოფიციალურმა სპონსორმა, კომპანია „კოკა-კოლამ" დააწესა. გუშინ პირველი წრის შეხვედრების პარალელურად სპეციალური პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც ჟურნალისტების კითხვებს ფედერაციის პრეზიდენტმა ლეილა მესხმა და „კოკა-კოლას" მარკეტინგის მენეჯერმა გოგა რობაქიძემ უპასუხეს.

„სატურნირო გამოცდილებას დანატრებული ჩვენი ჩოგბურთელებისთვის ბოლო ერთი თვე ძალიან ნაყოფიერი იყო — თქვა მესხმა — საერთაშორისო ტურნირების სამკვირიან მარათონს საპრიზო ფონდიანი შიდა პირველობა მოჰყვება როგორც ქალთა, ასევე ვაჟთა შორის. ჩვენს ოფიციალურ სპონსორ „კოკა-კოლასთან" ერთად მართლაც მშვენიერი იდეა განვახორციელეთ. საქართველოს ჩემპიონატს დამატებითი მუხტი შევძინეთ, რომელიც სამომავლოდ ისევ და ისევ ქართულ ჩოგბურთს წაადგება სასიკეთოდ. ჩემპიონ-პრიზიორები ფულადი ჯილდოების გარდა გარკვეულ პრივილეგირებასაც მიიღებენ. გამარჯვებულები 750 დოლარით, საკმაოდ ნორმალური ერთწლიანი ხელფასითა და მომავალ წელს ჩასატარებელი თბილისის საერთაშორისო ტურნირის „ვაილდ ქაარდებით" დასაჩუქრდებიან. მეორე ადგილზე გასულთათვის ჯილდო 500 დოლარია, ხოლო მესამე ადგილზე — 250. და ბოლოს, სწორედ საქართველოს ჩემპიონატის შედეგებით უნდა დაკომპლექტდეს ამ წლის დევისისა და ფედერაციის თასზე მოთამაშე ნაკრებები. ამჟამად ორორი ადგილია ვაკანტური. ვაჟებში პირველი-მეორე ნომრები ირაკლი ლაბაძე და ლადო ჩიხლაძე არიან, ქალებში კი მაკა ჩახნაშვილი და სალომე დევიძე".

ცნობისთვის, მესხის მიერ ჩამოთვლილი ოთხეულიდან საქართველოს ჩემპიონატში არც ერთი არ თამაშობს. სამომავლოდ მათ და უცხოეთში მოთამაშე სხვა ქართველების ჩაყვანაზეც შეიძლება ფიქრი, თუმცა საამისოდ გაცილებით მეტი ფინანსები დაგვჭირდებაო — დასძინა პრეზიდენტმა.

„კოკა-კოლას" წარმომადგენელმა ჩოგბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობის დადებით მხარეებზე ისაუბრა. ერთად შედგენილი პროგრამაც ახსენა და პერსპექტივაც. ხელშეკრულება წლის ბოლომდეა გაფორმებული, მერე კი მხარეები დასხდებიან და სამომავლო გეგმებზეც დაილაპარაკებენ.

საქართველოს ჩემპიონატი კვირამდე გასტანს და ფინალების პირდაპირი ტრანსლაცია ტელევიზიით გადაიცემა. კაცებში პირველ ნომრად ირაკლი უშანგიშვილია განთესილი. იგი ტურნირში პირდაპირ მეორე წრიდან ჩაერთო და თავი უკვე მეოთხედფინალშიც დაიგულა. ქალები კი დღეს დაიწყებენ. მათი პირველი ნომერი „ბორჯომის თასის" ფინალისტი, 16 წლის მანანა შაფაქიძეა.

**ოთარ მაღლაკელიძე**




საქართველოს ნაკრების წევრი დავით კვერნაძე კოკა-კოლას ჩემპიონატზე მეორე ნომრადაა განთესილი

გურამ ციციშვილის ფოტო

# ფილიპუსისის 301-ე გამარჯვება

**WTA**

**ფილდერშტადტი. გერმანია**

**მაგარსაფარი**

**საპრიზო 650 000 $**

**I წრე**

**ელენა დემენტიევა** (რუსეთი, 5) — ზუზანა ონდრასკოვა (ჩეხეთი) — 6:2 6:4

**ნატალი დეში** (საფრანგეთი) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) — 6:3 6:3

**კაროლინა შპრემი** (ხორვატია) — ელენა დანილიდუ (საბერძნეთი) — 6:3 3:6 7:5

**II წრე**

**ლინდსი დევენპორტი** (აშშ, 1) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) — 6:2 6:2

**გერმანიის** ქალაქ ფილდერშტადში მიმდინარე WTA-ს მორიგ ტურნირზე გუშინ დასასრულს მიუახლოვდა I წრის თამაშები

შემდეგ წრეში იოლად გავიდა ტურნირზე მე-5 ნომრად განთესილი რუსი ელენა დემენტიევა. მან უპრობლემოდ დაამარცხა კვალიფიკაციიდან მოხვედრილი ჩეხი ონდრასკოვა. ელენამ საკმაოდ სტაბილური თამაში აჩვენა და მისთვის აგრერიგად დამახასიათებელი უნებლიე შეცდომები აღარ დაუშვია. დემენტიევა გერმანიაში უკვე მეექვსედ ასპარეზობს, ხოლო საუკეთესო შედეგი მან 2002 წელს აჩვენა, როცა ნახევარფინალამდე მოახერხა გასვლა.

დემენტიევას მეტოქე მეორე წრეში ფრანგი ნატალი დეში იქნება, რომელმაც ერთნაირი ანგარიშით — 6:3 6:3 დაამარცხა ავსტრალიელი ალისია მოლიკი. ფრანგისთვის ეს წლეულს მოპოვებული 35-ე გამარჯვებაა.

პირველი წრის ბარიერი გაჭირვებით, მაგრამ მაინც გადალახა ხორვატმა კაროლინა შპრემმაც, რომელმაც სამ სეტში შეძლო ბერძენი დანილიდუს დამარცხება. ხორვატის შემდეგი მეტოქე ტურნირის მეორე ნომერი ბელგიელი კიმ კლაისტერსი იქნება, რომელიც პირველ წრეში ისვენებდა.

პირველი წრის თამაში გამოტოვა და ასპარეზობაში მეორე წრიდან ჩაერთო ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული და წლეულს პირველ ნომრად განთესილი ამერიკელი ლინდსი დევენპორტი. მან იოლად დაძლია იტალიელი ფრანჩესკა სკიავონეს წინააღმდეგობა და პირველი ნაბიჯი გადადგა ტიტულის დაცვისკენ.



მარკ ფილიპუსისი

**ATP**

**მეცი. საფრანგეთი**

**მაგარსაფარი**

**საპრიზო 232,250 €**

**I წრე**

**მიკაელ ლოდრა** (საფრანგეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) — 6:4 6:0

**ანდრეას სეპი** (იტალია) — რაზვან საბაუ (რუმინეთი) — 7:5 6:3

**ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — დავიდე სანგინეტი (იტალია, 7) — 6:7 6:3 6:3

**ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — იურგენ მელცერი (ავსტრია) — 4:6 6:3 6:2

**პეტერ ლუჩაკი** (ავსტრია) — იური შუკინი (რუსეთი) — 6:4 7:6

**მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) — ტომას ბერენდი (გერმანია) — 6:1 3:6 6:3

**ფლორიან მაიერი** (გერმანია) — იუნას ელ ანაუი (მაროკო) — 4:6 7:5 6:1

**გაელ მონფილსი** (საფრანგეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (2:6 6:1 7:6

**პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — იგორ ანდრეევი (რუსეთი) — 7:6 6:4

**არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ტობიას ზამერერი (გერმანია) — 7:6 6:4

**პირველი** წრე დასასრულს მიუახლოვდა საფრანგეთის ქალაქ მეცში მიმდინარე ATP-ს მორიგ ტურნირზეც. თითქმის ბოლომდე გაირკვა ის წყვილები, რომლებიც ერთმანეთს მეორე წრეში დაუპირისპირდებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ ტურნირზე ჯერჯერობით კარგად ასპარეზობენ მასპინძლები. ასე განსაჯეთ, ექვსიდან ხუთმა ფრანგმა მოახერხა შემდეგ ეტაპზე გასვლა, ხოლო მასპინძლების ერთადერთი დანაკლისი ჟილ სიმონი თავის თანამემამულე მიკაელ ლოდრასთან დამარცხდა. შემდეგ ეტაპზე ფრანგები ასევე მინიმუმ ერთ მოთამაშეს მაინც მოისაკლისებენ, ვინაიდან ერთმანეთის წინააღმდეგ თამაში მოუწევთ თინეიჯერ გაელ მონფილსსა და გამოცდილ არნო კლემანს.

სხვა დაპირისპირებებიდან გამოსაყოფი ავსტრალიელი ვეტერანი მარკ ფილიპუსის გამარჯვებაა. მან გერმანელი ბერენდის დამარცხებით კარიერის 301-ე გამარჯვება მოიპოვა. მარკმა არც ამ თამაშში უღალატა თავის სტილს, ძლიერ მოწოდებაზე გააკეთა აქცენტი, 20 ეისი მოაწოდა, გერმანელის სამი მოწოდება აიღო და ეს დაპირისპირება თავისი გამარჯვებით დაასრულა. ავსტრალიელის მომავალი მეტოქე არგენტინელი აგუსტინ კალერია.

ასევე აღნიშვნის ღირსი პირველ წრეში შემდგარი იტალია-რუმინეთის დაპირისპირებაა, რომელიც სანახევროდ ფრით დამთავრდა. ანდრეას სეპიმ იოლად დაამარცხა რუმინელი საბაუ, მაგრამ ანდრეი პაველმა მძიმე ორთაბრძოლაში შეძლო ტურნირზე მეშვიდე ნომრად განთესილი დავიდე სანგინეტის დამარცხება და ამ მიკროდუელში ანგარიში გაათანაბრა. პარადოქსი კი ის იყო, რომ სეპი და პაველი ერთმანეთს უკვე მეორე წრეში შეხვდებიან.

პირველი წრე ასევე დაძლიეს ავსტრიელმა პეტერ ლუჩაკმა და გერმანელმა ფლორიან მაიერმა.

**კახა ლომაშვილი**


AFP ბუდაპეშტიდან




# კოლექციონერი

## რევაზ მინდორაშვილი: ჩემპიონი რომ გავხდი, არც მახსოვდა

მეოთხე წელიწადია, რევაზ მინდორაშვილი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე სტაბილურად იხვეჭს მედლებს. გამონაკლისი მხოლოდ წლევანდელი ევროპირველობა იყო. მანამდე 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშებიც ჩაუვარდა და ზემოთ ნახსენები სასიამოვნო ტრადიციის დარღვევის საფრთხეც გაჩნდა, მაგრამ... ახლახან ბუდაპეშტში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე რეზომ კარიერის უდიდეს წარმატებას მიაღწია — ოქროს მედალი მოიპოვა და მსოფლიოს ზემოდან გადმოხედა.

უნგრეთიდან დაბრუნებული თბილისშია და აქ იღებს მილოცვებს, მშობლიურ კახეთში კი დღე-დღეზე ჩავა. გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში ყველაზე დიდი გულშემატკივარი — მამა, პირველი მწვრთნელი დავით გონაშვილი და მსოფლიოს ჩემპიონის გვერდით ქეიფის მსურველი უამრავი თანასოფლელი ელის.

გუშინ მინდორაშვილი რედაქციაში გვესტუმრა, ჩვენი საუბარი კი, რაღა თქმა უნდა, ბუდაპეშტური გამარჯვების წუთების გახსენებით დაიწყო.


ვაჟა ფირცხალაშვილის ფოტო

— ის ბედნიერება კარგა ხანს ვერ გავაცნობიერე, სიხარულის გამოხატვაც კი არ შემეძლო, ისეთი დაღლილი ვიყავი. ჩემპიონობას მთელი ენერგია შევალიე.

**— ელოდი ოქროს მედალს?**

— მჯეროდა, რომ უმედლოდ არ დავრჩებოდი. ჩემპიონობისთვისაც მზად ვიყავი. აქამდე ლამის ყველა სინჯის მედალი მომეგო ოქროს გარდა და ბუდაპეშტში ეს ოცნებაც ავისრულე. ევროპის ჩემპიონატებზე 2002 წლიდან მოყოლებული სამივე ხარისხის მედალი დამიგროვდა, მსოფლიოზე — ბრინჯაო და ოქრო. ვერცხლის სურვილი არც მაქვს. მირჩევნია, ჩემს კოლექციას კიდევ ერთი ოქრო შევმატო.

**— როდის ირწმუნე, რომ ჩემპიონობაში ხელს ვერავინ შეგიშლიდა?**

— მესამე შეხვედრა რომ მოვიგე. მართალია, მთავარი კონკურენტები ჯერ კიდევ წინ მელოდნენ, მაგრამ ეს ოდნავადაც აღარ მანერვიულებდა. უკვე ბოლომდე ვიყავი გახსნილი.

**— მანამდე ორ უმნიშვნელოვანეს ტურნირზე უმედლოდ დარჩი. ამჯერად რის ხარჯზე მოიგე, უკეთესად იყავი მომზადებული?**

— უმაღლესი ჯილდოს მოპოვების შანსი 2001 წლიდან მოყოლებული სულ მქონდა. ხან რამ დამაღალატა, ხან რამ. ბუდაპეშტამდე ბევრი იმედგაცრუება ვნახე, მსაჯებისგან დაჩაგვრაც გამოვცადე. მგონი, უკვე დრო იყო, მეც გამეხარა. ამჟამად მართლა საუკეთესო ფორმაში ვიყავი.

**— ოლიმპიური თამაშებისა და წლევანდელი ევროპის პირველობის წარუმატებლობა მსოფლიოს წინ ზედმეტ ტვირთად ხომ არ გაწვა?**

— სიმართლე გითხრათ, ათენის შემდეგ ფსიქოლოგიურად მართლა მოვიშალე. ოლიმპიადაზე ჩემი მარცხი ალბათ ზედმეტი მონდომების ბრალი იყო. იმდენი ვივარჯიშე, საუკეთესო ფორმას აშკარად გადავაჭარბე, რაც საბოლოოდ დამღუპველი აღმოჩნდა. მერე ევროპაც წავაგე, მაგრამ ხელის ჩაქნევაზე არც მიფიქრია. დარწმუნებული ვიყავი, რაღაც დროის შემდეგ ყველაფერი გამოსწორდებოდა. საბედნიეროდ, თავს მალევე მოვერიე.

**— ოქროს მედალი უნგრეთშივე ხომ არ დაგისველებია?**

— ხომ გითხარით, ისე ვიყავი გათიშული, არაფრის თავი არ მქონდა. თან ამის დროც არ იყო. ჩემს გარდა სხვებიც ჭიდაობდნენ და მათ საგულშემატკივროდ დავრბოდი. ჩემს გამარჯვებაზე ვერც კი ვფიქრობდი.

**— საქართველოდან თუ მიიღე მილოცვები?**

— ერთ-ერთი პირველი ჩემი მეუღლე იყო, მაგრამ ესეც რაღაცნაირად უცნაურად მოხდა. მე თვითონ დავურეკე, ჩვეულებრივ, მისი ამბები რომ შემეტყო. ალალად ვამბობ, ჩემპიონი რომ გავხდი, არც მახსოვდა.

**— ადრე გვითხარი, ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი მამაა. ალბათ კახეთში გვარიან ქეიფს გამართავდა...**

— სამწუხაროდ, ჭიდაობისთვის არ უყურებია და ამბებს ტელეფონით იგებდა. ჩემპიონობა ჩემს პირველ მწვრთნელს დავით გონაშვილს მიუხარებია. ქეიფისას ვერაფერს გეტყვით, თუმცა აბა, უმაგისობა როგორ იქნებოდა.

**— შენ თუ მოასწარი შინ ჩასვლა და მოლხენა?**

— სამწუხაროდ, ჯერ ვერა. ეს ბედნიერება წინ მაქვს, ნახვით კი თანასოფლელები აეროპორტში ვნახე. იქვე იყო გონაშვილიც, კაცი, რომელმაც ჭიდაობაში პირველი ნაბიჯები გადამადგმევინა და შემაყვარა. მასთან ერთად ჩემი წარმატებები მნიშვნელოვანწილად მწვრთნელების — მარლენ ოსიძაშვილის, ზაზა თურმანიძისა და დავით ხურციას დამსახურებაა.

**— მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში?**

— პირველ რიგში ის, რომ უცნობი ხალხისგან საოცარ სიყვარულს ვგრძნობ. სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, ეს რამხელა ბედნიერებაა.

**— სეზონი დასრულდა, შეგიძლია, ცოტა ხნით ვარჯიშებიც დაივიწყო...**

— ალბათ ათიოდე დღეს დავისვენებ, მერე კი დარბაზს მივუბრუნდები. იქნებ წლის ბოლომდე ხალიჩაზე ერთხელაც გავიდე. რამდენიმე კვირაში ირანში საკლუბო ტურნირია.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## დასავლეთ კონფერენცია ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონი

### კალგარი ფლეიმსი

*მოვიდნენ:* რომან ჰამრლიკი, ტონი ამონტე, დერენ მაკარტი

*წავიდნენ:* მარტინ ჟელინა, ვილე ნიემინენი, მაიკ კომოდორი, ტონი ლუდმანი, რომან ტურეკი

2003-04:+42=10-30 და თასის ფინალი

**გაგიკვირდებათ** ალბათ, მაგრამ ჩრდილოეთ ამერიკაში „კალგარი“ თასის ერთ-ერთ მთავარ მაძიებლად მიაჩნიათ (მაგალითად, „სპორტს ილუსტრეიტედის“ რეიტინგში „ალები“ პირველ ადგილზე არიან). არადა, ბოლო წლებში მოულოდნელად თასის ფინალში გასული გუნდები, ჩვეულებრივ, მომდევნო სეზონებში კრიზისს განიცდიდნენ. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ „კალგარის“ ეს არ ემუქრება, ვინაიდან გუნდმა გონივრული გაცვლებით უფრო გააძლიერა შემადგენლობა და, რაც მთავარია, სუპერვარსკვლავ ჯერომ იგინლას შენარჩუნება შეძლო.

### ვანკუვერ კენაქსი

*მოვიდნენ:* ენსონ კარტერი, რიჩარდ პარკი, სტივ მაკარტი

*წავიდნენ:* მარტინ რუჩინსკი, მარეკ მალიკი, ბრენტ სოპელი, იოჰან ჰედბერგი

2003-04:+43=15-24 და თასის მერვედფინალი

**როგორც** იქნა, „ვანკუვერის“ ქომაგები მოესწრნენ ტოდ ბერტუცის დაბრუნებას. კოლორადოელი სტივ მურის წინააღმდეგ ჩადენილი საზარელი საქციელის გამო ბერტუციმ მოიხადა სასჯელი და ახლა მოუთმენლად ელის სეზონის დაწყებას. ტოდის დაბრუნება მისი, მარკუს ნესლუნდისა და ბრენდან მორისონის საუცხოო სამეულის აღორძინებასაც ნიშნავს. ასე რომ, შედეგიანობასთან გუნდს არანაირი პრობლემა არ უნდა ჰქონდეს.

### კოლორადო ევალანში

*მოვიდნენ:* პიერ ტარჯონი, ბრაიან მეი, ენდრიუ ბრუნეტი, პატრის ბრისბუა, კერტის ლეშიშინი

*წავიდნენ:* პეტერ ფორსბერგი, ტეემუ სელიანე, პოლ კარია, კრის გრეტონი, ვენსან დამფუსი, ანდრეი ნიკოლიშინი, ადამ ფუტი

2003-04:+40=20-22 და თასის მერვედფინალი

**„ძველი“** ნჰლ-ის დაშლამ და ახალი ეკონომიკური სისტემის შემოღებამ ალბათ ყველაზე მეტად „კოლორადო“ და „დეტროიტი“ დააზარალა. ბიუჯეტის შემცირების გამო „ევალანში“ იძულებული გახდა, თავისი მრავალრიცხოვანი ვარსკვლავები გაეყიდა. მართალია, მათგან მხოლოდ ფორსბერგი და ფუტი თუ ასრულებდნენ სრულად თავიანთ მოვალეობას, მაგრამ ფაქტი ფაქტია, დღესდღეობით გუნდი მეტწილად ჰეიდუკი-საკიკ-ტანგვეის სამეულის იმედად დარჩა.

### ედმონტონ ოილერსი

*მოვიდნენ:* კრის პრონგერი, მაიკ პეკა

*წავიდნენ:* ერიკ ბრიუერი, მაიკ იორკი, ბრედ ისბისტერი

2003-04:+36=17-29 და მე-9 ადგილი კონფერენციაში

**ლამის** თხუთმეტი წლის განმავლობაში პირველად შეძლო „ედმონტონმა“ ძვირადღირებული მოთამაშის შეძენა, რაც ახალი სისტემის უდავო დამსახურებაა. ადრე კრის პრონგერის დონის მცველზე „მენავთობებს“ მხოლოდ ოცნება თუ შეეძლოთ, ხოლო გუნდში ოსტატებად ქცეულ ჰოკეისტებს სხვა, მდიდარი გუნდებისკენ ეჭირათ თვალი. შესაბამისად, ამიერიდან „ოილერს“ თავდაჯერებულობაც შეემატა და მარტო პლეი ოფში გასვლაზე კი არა, უფრო სერიოზულ ამოცანებზე შეუძლია ფიქრი.

*შენიშვნა:* + მოგება, = ფრე - წაგება

# NHL-ური მიდი-მოდი

**დაიწყო NHL-ის 88-ე რეგულარული ჩემპიონატი, რომლის მატჩებიც თბილისის დროით წუხელ გვიან დამთავრდა, დღეს კი დასავლეთ კონფერენციის კლუბებით ვასრულებთ მონაწილეთა წარდგენას.**

### მინესოტა უაილდი

*მოვიდნენ:* ტოდ უაიტი, ანდრეი ნაზაროვი, დანიელ ჩერნკვისტი

*წავიდნენ:* რიჩარდ პარკი, ენდრიუ ბრუნეტი

2003-04:+30=23-29 და მე-10 ადგილი კონფერენციაში

**ჩვენ** შეგვიძლია მხოლოდ ვიმარჩიელოთ იმაზე, თუ „უაილდმა“ უფრო მეტად რატომ არ იაქტიურა სატრანსფერო ბაზარზე. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, გუნდის მესვეურთ ხომ ჩინებულად ესმით, რომ დიდ წარმატებებს ვერ მიაღწევენ, თუ უმაღლესი კლასის მოთამაშეები არ ეყოლებათ. მხოლოდ გუნდურ სულისკვეთებაზე და დაცვით ტაქტიკაზე (მით უმეტეს ახალი წესების პირობებში) დაყრდნობა საკმარისი არ არის. იმავე მარიან გაბორის ხომ კარგი მეპასე სჭირდება.

## ცენტრალური დივიზიონი

### დეტროიტ რედ უინგზი

*მოვიდნენ:* კრის ოსგუდი, ენდი დელმორი, ანდრეს ლილია, მიქაელ სამუელსონი

*წავიდნენ:* დერიან ჰეჩერი, მეტიუ დანდენო, ბრეტ ჰალი, რეი უიტნი, დერენ მაკარტი, კერტის ჯოზეფი

2003-04:+48=13-21 და თასის მეოთხედფინალი

**„დეტროიტის“** ელიტაში დარჩენა ამიერიდან ახალი თაობის საზრუნავია. ძნელი წარმოსადგენია, რომ აიზერმანი, შენაჰანი და სხვა ვეტერანები კვლავ შეძლებენ მთავარი ტვირთის ზიდვას, ამიტომ ახლა პაველ დაციუკს, ჰენრიკ ზეტერბერგს და ნორჩ ირჟი ჰუდლერსაც კი მეტი მოეთხოვება. არადა, ათიოდე დღის წინ დაციუკის ასპარეზობა საეჭვო იყო საკონტრაქტო პრობლემების გამო. რუსმა საწვრთნელი ბანაკი გამოტოვა და რა ფორმაშია ამჟამად, არავინ იცის.

### სენტ ლუის ბლუზი

*მოვიდნენ:* ერიკ ბრიუერი, დინ მაკამონდი, სკოტ იანგი, პატრიკ ლალიმი

*წავიდნენ:* ელ მაკინისი, კრის პრონგერი, ალექსანდრ ხავანოვი კრის ოსგუდი, პაველ დემიტრა

2003-04:+39=13-30 და თასის მერვედფინალი

**გამორიცხული** არაა, რომ „ბლუზმენებმა“ შეწყვიტონ თავიანთი 25-წლიანი საპლეიოფო სერია (ერთადერთი, რითაც შეუძლია დაიკვეხნოს გუნდმა). პრონგერის და მაკინისის შეცვლა უაღრესად რთული იქნება, ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ „ბლუზი“ საშუალო დონის გუნდად იქცეს.

### ჩიკაგო ბლექ ჰოუქსი

*მოვიდნენ:* ნიკოლაი ხაბიბულინი, ადრიან ოკოინი, იაროსლავ შპაჩეკი, მარტინ ლაპოინტი, მეტიუ ბარნაბი, კერტის ბრაუნი

*წავიდნენ:* ჟოსლენ ტიბო, ბრაიან ბერარდი, სტეფან რობიდა, სკოტ ნიკოლი

2003-04:+20=19-43 და მე-15 ადგილი კონფერენციაში

**როგორც** იქნა, ჩიკაგოშიც გაჩნდა იმედი. ამის საბაბი მხოლოდ ერთი, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი შენაძენი გახდა. სა-




უბარია მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინზე, რომელიც „ქორებს“ საკმაოდ ძვირად დაუჯდა (6,75 მილიონი წელიწადში), მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ფული გონივრულად დაიხარჯა. ტყუილად ხომ არ ამბობენ, რომ მეკარე გუნდის ნახევარიაო.

### ნეშვილ პრედეტორსი

*მოვიდნენ:* პოლ კარია, სკოტ ნიკოლი, რენი რობიტაილი, დანი მარკოვი

*წავიდნენ:* მცველი შეინ ჰნაიდი

2003-04:%38 — 15-29 და თასის მერვედფინალი

**ახლა** მუსიკოსების ქალაქსაც თავისი სუპერვარსკვლავი ჰყავს. ბარი ტროცის მიერ ჩინებულად გაწვრთნილ და ორგანიზებულ გუნდს პოლ კარიას სახით არა მარტო შეტევითი პოტენციალი, არამედ განსაკუთრებული პეწი შეემატა. მართალია, კარიამ წინა სეზონი ჩააფლავა „კოლორადოში“, მაგრამ მას ვარსკვლავებით გადაჭედილ გუნდში უჭირს ხოლმე თავის გამოჩენა, „ნეშვილში“ კი პოლი მთავარი ფიგურა იქნება.

### კოლუმბუს ბლუ ჯეკეტსი

*მოვიდნენ:* ადამ ფუტი, ბრაიან ბერარდი, მარტინ ბრუსეკი, იან ჰრდინა

*წავიდნენ:* იაროსლავ შპაჩეკი, ენდრიუ კესელსი

2003-04:+25=12-45 და მე-14 ადგილი კონფერენციაში

**კოლუმბუსის** პროგრესი ისე სწრაფად როდი ხდება, როგორც გუნდის ქომაგებს სურთ, მაგრამ იქნებ წლევანდელი სეზონი სერიოზული წინსვლის დასაწყისად იქცეს. „ჟაკეტებმა“ თავიანთ ისტორიაში სახელიანი მოთამაშეები პირველად შეიძინეს და ყველაზე სუსტი რგოლი, დაცვა გაამაგრეს. თანაც კლუბს ხომ რიკ ნეში ჰყავს, რომელმაც 19 წლისამ 41 გოლი გაიტანა და თავის მეორე სეზონში ალბათ 50-შაიბიან ნიშნულამდეც მივა.

## წყნარი ოკეანის დივიზიონი

### სან ხოსე შარკსი

*მოვიდნენ:*

*წავიდნენ:* მაიკ რატიე, ალექსანდრ კოროლიუკი

2003-04:+43=18-21 და თასის ნახევარფინალი

**უკვე** მერამდენე წელიწადია, „სან ხოსე“ თავს არიდებს სახელიანი მოთამაშეების შეძენას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველ მომდევნო სეზონში უმატებს და სულ უფრო უახლოვდება მთავარ მიზანს, წლეულს კი „ზვიგენებმა“ საერთოდ არავინ შეიმატეს. თავისთავად ეს სკაუტების ბრწყინვალე მუშაობასა და ჩინებულად აწყობილ სათამაშო სისტემაზე მეტყველებს. ნებისმიერი დებიუტანტი კარგად იწერება „სან ხოსეს“ ტაქტიკურ სქემაში და მხოლოდ აძლიერებს გუნდს. წლეულს გუნდი უფრო გაახალგაზრდავდა და სწრაფი გახდა, ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ჩემპიონობის წინა სეზონში „ტამპაც“ ნახევარფინალში გავიდა.

### დალას სტარსი

*მოვიდნენ:* მარტინ სკოულა, სტეფან რობიდა, იოჰან ჰედბერგი

*წავიდნენ:* პიერ ტარჯონი, ვალერი ბურე, რობ დიმაიო, სკოტ იანგი, კრის ტერიენი, დონ სუინი

2003-04:+41=15-26 და თასის მეოთხედფინალი

**მთელი** ზაფხული ამტკიცებდნენ „დალასში“, რომ გუნდის მთავარი მიზანი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემცირებაა, მაგრამ სეზონს გუნდი კვლავ მრავალრიცხოვანი და ძვირადღირებული ვეტერანებით და „ჭერთან“ ახლოს მყოფი საგადასახადო უწყისით იწყებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ „სტარსი“ ისევ მოდანოს, გერინის და სხვა ასაკოვანი ჰოკეისტის იმედადაა. შესაბამისად, სერიოზული პროგრესი წლეულს ნაკლებად მოსალოდნელია

### ანაჰაიმ მაითი დაქსი

*მოვიდნენ:* სკოტ ნიდერმაიერი სანდის ოზოლინში, ჯეისონ მარშალი, ტეემუ სელანე, ტოდ ფედორუკი

*წავიდნენ:* სტივ რუჩინი, სტანისლავ ჩისტოვი, მაიკ ლეკლერკი, მარტინ სკოულა

2003-04:+29=18-35 და მე-12 ადგილი კონფერენციაში

**ახალი** მეპატრონე, ახალი გენერალური მენეჯერი, ახალი თავკაცი და გადახალისებული შემადგენლობა იმის საწინდარია, რომ წლეულს „იხვები“ აღარ გააგრძელებენ ვარდნას, რომელიც 2003 წელს თასის ფინალში გასვლას მოჰყვა. თანაც კლუბს შემტევი მცველების შესაშური წყვილი ჰყავს (ახალშეძენილი სკოტ ნიდერმაიერი და სანდის ოზოლინში) და თუ სერგეი ფიოდოროვიც მონდომებით იასპარეზებს, ხოლო ჟან-სებასტიან ჟიგერს სამეკარეო ამუნიციის ზომების შემცირება არაფერს დააკლებს, „ანაჰაიმი“ ანგარიშგასაწევ ძალად იქცევა.

### ფინიქს კოიოტისი

*მოვიდნენ:* ბრეტ ჰალი, პეტერ ნედველი, კერტის ჯოზეფი

*წავიდნენ:* ბრენტ ჯონსონი, ანდრეი ნაზაროვი

2003-04:+22=24-36 და მე-13 ადგილი კონფერენციაში

**„ფინიქსი“** წლეულს თუ ვერაფერს მიაღწევს, ის მაინც ყურადღების ცენტრში იქნება. ხუმრობაა, თავის სამწვრთნელო კარიერას დიადი უეინ გრეცკი იწყებს! ზოგი ამბობს, რომ ვარსკვლავი ჰოკეისტებისგან კარგი მწვრთნელი იშვიათად გამოდის, მაგრამ გრეცკი ალბათ გამონაკლისი უნდა გახდეს. ის ხომ მთელი თავისი კარიერის განმავლობაში პრაქტიკულად გუნდის „ჩრდილოვანი“ თავკაცის როლს ასრულებდა და ბევრად კარნახობდა სათამაშო ტაქტიკას. თამაშის მისნაირი გაგებით კი ერთეულები თუ დაიკვეხნიან.

### ლოს-ანჯელეს კინგსი

*მოვიდნენ:* ჯერემი რენიკი, პავოლ დემიტრა, ვალერი ბურე

*წავიდნენ:* ზიგმუნდ პალფი, მარტინ სტრაკა, ჯეისონ ელისონი, იოზეფ შტუმპელი, ენსონ კარტერი, შტეფან ქინტალი, იაროსლავ მოდრი, რომან ჩეხმანეკი

2003-04:+28=25-29 და მე-11 ადგილი კონფერენციაში

**როგორ** აპირებს „ლოს ანჯელესი“ იოლად გასვლას სოლიდური მეკარის გარეშე, ალბათ მხოლოდ გუნდის მესვეურებმა იციან. ძნელი წარმოსადგენია, რომ სებასტიან გარონის და ჯეისონ ლაბარბერას დუეტმა თავი კარგად გაართვას ამ საქმეს, თორემ სხვა ხაზებში „მეფეებს“ თავმოსაწონებელი საკმაოდ აქვთ. ახლახანს კლუბს კიდევ ერთი პრობლემა დაემატა — მთავარმა შენაძენმა ჯერემი რენიკმა მორიგი ტვინის შერყევა მიიღო და ჩემპიონატის სტარტის გამოტოვება მოუწევს.

**სამველ ლარიბიანი**

## მსოფლიოს ჩემპიონატი

## 27 სექტემბერი — 16 ოქტომბერი, სან-ლუისი, არგენტინა

# ტოპალოვი შავებში შეუჩერებელია კომიტეტში კი ვიღაც ვერ არის

**ვესელინ ტოპალოვმა** თუ ასე გააგრძელა თამაში, ჩემპიონატს მალე აზრი დაეკარგება. ბულგარელმა დიდოსტატმა მეექვსე ტურში თავისი მორიგი შეხვედრა მოიგო და უახლოეს მდევრებს მთელი ორი ქულით გადაუსწრო. ტოპალოვმა 6 ჩატარებული შეხვედრიდან 5 მოიგო და აქედან 4 შავი ფიგურებით.

ბულგარელის მეხუთე მსხვერპლი ჩემპიონატის ერთადერთი მანდილოსანი იუდიტ პოლგარი აღმოჩნდა. მეტოქეებმა ესპანური, ღია პარტია გაითამაშეს.

პოლგარმა აქტიურად დაიწყო შეხვედრა, ბულგარელს ლაზიერი გაუცვალა და ფლანგის გაძლიერებას შეუდგა. უნგრელმა მარცხენა მხარეს გადასული შავი მეფისკენ გადაიტანა ყურადღება, მსუბუქი ფიგურები დაუმიზნა და შეუტია. ტოპალოვმა ადვილად მოიგერია შემოჭრილი თეთრი გვარდია, დესანტი მარჯვნივ გადასხა, საპასუხოდ შეუტია და 26-ე სვლაზე პაიკით დაწინაურდა.

მდგომარეობის გასამუხტად პოლგარმა წინ წასული ლაშქარი უკან დახია, საკუთარ მეფეს გარს შემოავლო და მტერს დაეტაკა.

მეტოქეები დაფაზე ფიგურებით მანევრირებას შეუდგნენ, სადაც უმრავლესობაში მყოფმა ბულგარელმა იძალა, უპირატესობა უფრო განიმტკიცა და 64-ე სვლაზე იმარჯვა.

ჩემპიონატის საიტზე გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთ მონაწილეს საორგანიზაციო კომიტეტში საჩივარი შეუტანია, ტოპალოვი ყოველთვის ერთსა და იმავე დაფაზე თამაშობს, ეს კი უპირატესობას აძლევს და ამიტომაც გვიგებს ყველას. კომიტეტმა ეს უაზრო პროტესტი, რა თქმა უნდა, არ დააკმაყოფილა და მომჩივანის გვარიც არ გაამხილა.

ყაიმით დასრულა შეხვედრა ჩემპიონატის რეიტინგსიის პირველმა ნომერმა ვიშვანათან ანანდმა და ლიდერ ტოპალოვს ორი ქულით დაშორდა. ტოტალიზატორებს უკვე ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ ჩემპიონი ბულგარელი გახდება და კუში ორამდე შეუმცირეს. მეორეა ანანდი 3 კუშით, ხოლო მესამე პეტერ სვიდლერი 6 კოეფიციენტით.

**ლაშა გეგეჭკორი**



**პოლგარმა 64-ე სვლაზე თამაში შეწყვიტა**



**იუდიტ პოლგარი და ვესელინ ტოპალოვი**

### VI ტური

| | | |
|---|---|---|
| რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5:0,5 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) |
| იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 0:1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 5,5 ქულა |
| 2 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 3,5 |
| 3 | პეტერ სვიდლერი (რუსეთი) | 3,5 |
| 4 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 3 |
| 5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 2,5 |
| 6 | მაიკლ ადამსი (ინგლისი | 2 |
| 7 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 2 |
| 8 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 2 |



# მაღალი, ლამაზი, მომხიბლავი, მულტიმილიონერი თინეიჯერი



**მიშელ ვი**

**„სკოლაში** გაკვეთილების დაწყებამდე მუდამ ძალიან დაკავებული ვიყავი. მაღაზიაში უნდა გავქცეულიყავი და ჩემთვის რაღაცრაღაცეები მეყიდა, მერე გუშინდელ სატელევიზიო გადაცემებზე უნდა მემსჯელა. რა თქმა უნდა, საშინაო დავალებებიც უნდა მომეზადებინა... საქმე თავზე საყრელად მქონდა. ჰოდა, სკოლაშიც ვაგვიანებდი."

გუშინ სწორედ გაკვეთილების დაწყებამდე ერთი საათით ადრე, ეს ამერიკელი გოგონა პროფესიონალი მეგოლფე და მულტიმილიონერი გახდა.

ტაიგერ ვუდსის გამოჩენის შემდეგ მიშელ ვი სამოყვარულო გოლფის კაშკაშა წარმომადგენელია.

გუშინ ამ 15 წლის გოგომ პროფესიონალებში გადაბარგების თაობაზე გამოაცხადა საგანგებოდ ამ ამბავთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე, რომელიც მდიდრულ სასტუმრო KAHALA-ში გაიმართა, იქიდან კი პირდაპირ სკოლისკენ გაიქცა, რომელიც სასტუმროს შორიახლოს მდებარეობს.

ვის 16 წელი ხუთი დღის შემდეგ შეუსრულდება.

მსოფლიოს გოლფის სამყარომ ახალი დიდი ტალანტის გამოჩენა ორი წლის წინათ შეიტყო. მაშინ ცამეტი წლისამ ამერიკის მოყვარულ ქალთა ჩემპიონატი მოიგო, ხოლო თოთხმეტისა ლამის პირველი მშვენიერთა სქესის წარმომადგენელი გახდა 1945 წლის შემდეგ, ვინც ამერიკის მამაკაცთა ტურნირებში დაუშვეს.

წლეულს მან კაცთა ტურნირებში ორჯერ სცადა ბედი და ორივეჯერ ეს საქმე საკმაოდ კარგად გამოუვიდა.

რაც შეეხება ქალთა ტურნირებს, იქ უბრალოდ ბრწყინვალედ გამოდიოდა. მართალია, მას იქ არ გაუმარჯვია, მაგრამ სამჯერ მეორე იყო, ერთხელ კი მესამე.

ვი რომ სეზონის დასაწყისში გადასულიყო პროფესიონალებში და არა სპორტული წლის მიწურულს, მაშინ მისი ეს წარმატებები 350 ათას ფუნტიან (617 ათასი დოლარი) შემოსავალს მოუტანდა.

თუმცა, მიშელ ვი მშვენივრად აცნობიერებს, რომ სამოყვარულო კარიერისას ყველა დაკარგული შემოსავალი მთლად გადააეიწყდება, როცა ის და მამამისი, უნივერსიტეტის პროფესორი ბი ჯეი, ბანკში მიიტანენ პირველ ქვითრებს, რომლებსაც მარკეტინგული ფირმებისგან მიიღებენ.

ვისადმი ინტერესი უდიდესია, ხოლო პოტენციური სპონსორები, შეიძლება ითქვას, მაცდური წინადადებებით ხელში რიგში დგანან. ზოგიერთი შეფასებით ეს ფირმები მზად არიან, ვის 10-მილიონიანი კონტრაქტები შესთავაზონ.

ასეთი ჰონორარები ვი უმალ გადააქცევენ მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს სპორტსმენ ქალად.

თავისი თანხით ვისწრაფად გადაასწრებს მსოფლიოს საუკეთესო მეგოლფე ქალს, შვედ ანიკ სორენსტამს.

შვედმა, მართალია, თავის კარიერაში ცხრა უდიდესი ტურნირი მოიგო, მაგრამ მისი შემოსავალი წელიწადში დაახლოებით „სულ რაღაც" 7 მილიონი დოლარია.

მიშელ ვის შემდგომი მარკეტინგული მიზანი მარია შარაპოვსთან და სერენა უილიამსთან სპონსორების გადაბირებაში ბრძოლა იქნება. ჟურლან „გოლფ უორლდთან" ინტერვიუში სპორტულმა აგენტმა სკოტ სეიმურმა თქვა, უკვე ერთი, ერთნახევარი წლის შემდეგ მიშელ ვი უცნობილესი სპორტსმენი ქალი გახდება მთელს დედამიწაზეო.

ვის ყველა პოტენციური შესაძლებლობა აქვს, რათა გოლფის რეკორდები დაამხოს. ამას გარდა, ისეთი მომხიბლავია, როგორიც მერეკლამეებს იზიდავს.

მიშელ ვი ჰავაიზე დაიბადა და კორეული ფესვები აქვს. მისმა წარმომავლობამ მიშელ ვის ხელი უნდა შეუწყოს გოლფის სამყაროში უმსხვილესი ბაზრების დასაპყრობად ამერიკასა და შორეულ აღმოსავლეთში.

მაღალი, ლამაზი, ყველა განხომილებით მომხიბლავი მიშელ ვი თავისუფლად ლაპარაკობს კორეულად, სწავლობს ჩინურსა და იაპონურს. საკვირველი არ არის, რომ მისი პროფესიონალური მეორე ტურნირი სწორედ იაპონიაში გაიმართება.

არც ის არის საკვირველი, რომ ვის აგენტი გახდა ჰოლივუდის ფირმა WILLIAMS MIRRIS AGENCY. ეს ფირმა სერენა უილიამსსაც ეკურკურებოდა და იგი კლინ ისტვუდის, ნიკოლ კიდმანის და ჯონ ტრავოლტას ინტერესებს წარმოადგენს.

„როგორც კი მიშელ ვი ერთ-ორ მსხვილ კონტრაქტს გააფორმებს, მისი წლიური შემოსავალი უმალ 30-40 მილიონ დოლარამდე აიწევს. სარეკლამო ბაზარზე ქალების ნაკლებობაა" — ამბობს კომპანია STEINER SPORTS MARKETING-ის წარმომადგენელი ბრენდ სტეინერი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP ბაქოდან

# ტანვარჯიში ბაქოში

მხატვრული ტანვარჯიშის მსოფლიოს ჩემპიონატი ბაქოში მიმდინარეობს. ნახეთ როგორ გაწელილა ჩინელი იმანგ ჟიაო, რომელიც თავის ნახტომით სიმეტრიის დაჭერას ცდილობს. ბულგარელი სიმონა პეიჩევა აღდებული ბურთზე ნავარობს, რუს ირინა ჩაშინას კი ბრინჯაო მოუგია სახტუნაოთი შეჯიბრებაში.



AFP ბაქოდან





# ოკეანე გადაიარეს

ბოლო 20 წელიწადია პირველადაა, რომ ამერიკაში ნამდვილი სუმო ტარდება. მასპინძელი ლასვეგასის „მენდელი ბეი“ კაზინოს განთქმული დარბაზია. თავად მოჭიდავენი კი სათამაშო მაგიდებთან ხალისობენ. იაპონიის სუმოს ასოციაცია ამ შეჯიბრს სიამოვნებით დათანხმდა.



AFP ლას ვეგასიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კახა ინასარიძე, ილია ნაჭიაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, გია ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, თიარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: ჯურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხრიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მისიაშვილი, თენგიზ ფოცხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge